დანართი №.5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა მამფორია

წევრები: თამარ აბაზაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნათია დარსაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

ეკატერინე ჟვანია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

თამთა პეტრიაშვილი უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,

ლია ციცქიშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,

ხათუნა მარკოზაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,

ნანა შალამბერიძე- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,

მაია ჩაჩხიანი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,

ალექსანდრე ჩახნაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი,

ლანა კუჭავა -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237113084

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთი
ფაქტობრივი მისამართი	გურამიშვილის ქ. N 4
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://cmidaninoskola.ge/

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	wmida.nino@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ 2026 წლის 22 აპრილის MES 3 26 0000465898 ბრძანება - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3-4 ივნისი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ოზურგეთი გურამიშვილის ქ.N4 (1 შენობა-ნაგებობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ოზურგეთი გურამიშვილის ქ.N4 (1 შენობა-ნაგებობა)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ოზურგეთი გურამიშვილის ქ.N4 (1 შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 22 აპრილის MES 3 26 0000465898 ბრძანების საფუძველზე2026 წლის 3-4 ივნისს ვიმყოფებოდით ვიზიტით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
320	**194**	***300***

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არაფორმალური განათლება, მოსწავლეთა მხარდაჭერა, შემოქმედებითი თვითრეალიზება და სასკოლო საზოგადოების/თემის ერთიანობა წარმოადგენს სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას. სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე მოქმედი მოსწავლეთა კლუბი „ათინათი“ არის უნიკალური საგანმანათლებლო-შემოქმედებითი სივრცე, სადაც ბიბლიოთეკა გარდაქმნილია ცოცხალ და დინამიკურ გარემოდ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების, იდეებისა და თვითრეალიზების განვითარებას.კლუბის ფარგლებში დანერგილია ხელნაკეთი წიგნების შექმნის ინოვაციური პრაქტიკა, რომლის შედეგადაც უკვე შექმნილია დაახლოებით 1500-მდე ნამუშევარი. აღნიშნული რესურსი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა წიგნიერების, კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სკოლაში ფუნქციონირებს როგორც ცოცხალი საგანმანათლებლო ფონდი, რომელსაც მოსწავლეები აქტიურად იყენებენ და აზიარებენ. ამავდროულად, კლუბის საქმიანობა გაფართოვდა და მოიცვა სასკოლო მუზეუმის შექმნის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ადგილობრივ თემთან თანამშრომლობით აგროვებენ ისტორიულ და კულტურულ მასალას. ეს პრაქტიკა აძლიერებს სკოლისა და თემის კავშირს და ავითარებს მოსწავლეთა კვლევით უნარებსა და კულტურული მემკვიდრეობისადმი პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია სკოლის ადმინისტრაციის თანმიმდევრული მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს მუზეუმისთვის შესაბამისი სივრცის შექმნას და ინიციატივის მდგრად განვითარებას. მოსწავლეთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან სივრცეს, სადაც იზრდება მოტივაცია, თვითრწმენა და სასკოლო ცხოვრებისადმი კუთვნილების განცდა. აღნიშნული პრაქტიკა ეფექტიანად აერთიანებს არაფორმალურ განათლებას, შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობასა და სასკოლო საზოგადოების ერთიანობის გაძლიერებას და შესაძლებელია მისი გავრცელება როგორც სამაგალითო მოდელი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: ------ 300 ------ --	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი ***N3.4.1.2.***	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია*** *- შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება ან იმოქმედოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ დანართი №1.2-ის შესაბამისად,*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*

ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	**რჩევა:** *სასურველია სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ლოგიკური კავშირი სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და შესაბამის აქტივობებს შორის. ამასთან, მიზანშეწონილია თითოეული აქტივობისთვის განისაზღვროს უფრო ზუსტად ფორმულირებული გაზომვადი ინდიკატორები, რაც გააძლიერებს გეგმის შესრულების მონიტორინგს, გაზრდის შეფასების ობიექტურობას და უზრუნველყოფს შედეგების სანდო ანალიზს.*
ინდიკატორი N 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	**რჩევა:** *სასურველია მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გაძლიერდეს მონაცემთა ანალიზის მიდგომა და ერთიანი ფორმით მოწესრიგდეს უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მართვას.*
ინდიკატორი N 1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	**რჩევა**: *სასურველია გაძლიერდეს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სისტემური დოკუმენტირება და მათი განხორციელების მონიტორინგის ციკლური გადამოწმება, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი ცვლილებების ეფექტიანობის შეფასებას და სკოლის განვითარების პროცესის უფრო მიზნობრივ მართვას.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი ***N3.4.1.1.***	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	***რჩევა:*** *სასურველია სკოლას ჰქონდეს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კომპეტენციის პირთან გაფორმებული ხელშეკრულება*
ინდიკატორი ***N3.6.3.5.***	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის ანგარიში.*

	ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა))*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***რჩევა: დაწყებითი საფეხური.*** *სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში (I, II და III კლ.) დაემატოს ესგ-ის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი. ეს სტრუქტურული ცვლილება უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულ სიცხადეს, სტანდარტთან შესაბამისობას და მასწავლებელს გაუადვილებს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვას.*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***რჩევა:***

		მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.
ინდიკატორი *N 2.1.2.1.*	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**რჩევა:** *სკოლამ დაწყებით საფეხურზე, ტექნოლოგიების მიმართულებით, მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და მისი შემდგომი განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უზრუნველყოს მიმართულებების, სამიზნე ცნებებისა და საკითხების მკაფიო გამიჯვნა და ფორმულირება საგნობრივი სტანდარტის სტრუქტურის შესაბამისად. ასევე მიზანშეწონილია კურიკულუმის კომპონენტებს შორის შიდა ლოგიკური კავშირის გაძლიერება ისე, რომ თითოეული აქტივობა, შეფასების კომპონენტი და სასწავლო შინაარსი თანმიმდევრულად უკავშირდებოდეს განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს.* *საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის საფუძველი, თუმცა მნიშვნელოვანია მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული დახვეწა.*
ინდიკატორი *N 2.1.2.2.*	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** *სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ ბუნებისმეტყველების I, III კლასების კურიკულუმები,*

		კერძოდ, მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმებს მატრიცების ერთიანი სტრუქტურული ფორმატის დანერგვა. კერძოდ, შემუშავდეს ერთიანი შაბლონი, სადაც გრაფების (თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლასტერი, შემოქმედებითი დავალების იდეა, რესურსები) თანმიმდევრობა ყველა საგანსა და კლასში იიქნება იდენტური;* *2. მიზანშეწონილია ნაცვლად ფორმულირებისა „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, გრაფას ეწოდოს „სასწავლო რესურსები“. მასში უნდა გაიწეროს არა მხოლოდ კომპლექსური დავალებისთვის საჭირო მასალა, არამედ ის წყაროები და რესურსებიც, რომლებიც აუცილებელია თემის ფარგლებში არსებული ყველა მიმდინარე საკითხის შესასწავლად.* *3. მიზანშეწონილია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის მსგავსად, ყველა სხვა საგნობრივ კურიკულუმებში (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, თუ რომელი კონკრეტული საკითხი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება;* *4. შემოქმედებითი ტიპის დავალება უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ, ხელშესახებ პროდუქტს და არა ზეპირ ფორმატს. მაგალითად, ნაცვლად უბრალოდ ზეპირი პრეზენტაციისა სპორტსმენის შესახებ („მე და საზოგადოება“, IV კლასი), სასურველია განისაზღვროს კონკრეტული პროდუქტი (მაგ. პოსტერი). ასევე, როდესაც პროდუქტი ინტერვიუა („ჩვენი საქართველო, V კლასი), მკაფიოდ უნდა დაკონკრეტდეს რესპონდენტი (მაგ. ინტერვიუ ეკოლოგთან). ფორმულირება „ზეპირი გააზრების სახით“ უნდა*

		შეიცვალოს მკაფიო, შემოქმედებითი პროდუქტით (მაგ. ანალიტიკური სტატია, კვლევის ანგარიში და სხვა.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** *სასურველია* ***რუსული ენის დაწყებითი საფეხურის მე- 6 კლასის კურიკულუმში*** *სამიზნე ცნების ჟანრის ნაცვლად ეწეროს- ტექსტი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** ***დაწყებით საფეხურზე****, სახელმწიფო ენაში, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: დაწყებითი საფეხური ტექნოლოგიები*** *სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია ეროვნული სასწავლო გეგმის მოქმედი სტანდარტის შესაბამისად და უზრუნველყოს მიმართულებების, სამიზნე ცნებების, საკითხებისა და შეფასების კომპონენტების ერთიან ლოგიკაში ჩამოყალიბება. ასევე მიზანშეწონილია თითოეული კლასის კურიკულუმის გადამოწმება სტანდარტის თემატურ ჩარჩოსთან მიმართებით, რათა სასწავლო შინაარსი, აქტივობები და შეფასება მკაფიოდ მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.* *საერთო შეფასებით, კურიკულუმი არსებითად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელებაზე, თუმცა საჭიროებს შინაარსობრივ და სტრუქტურულ დაზუსტებას მიზნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.*

ინდიკატორი *N 2.1.2.2.*	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** *სასურველია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად დაიხვეწოს ბუნებისმეტყველების (I, III კლასი) კურიკულუმები. კერძოდ: კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და თემები.* *სახელმწიფო ენის IV კლასის კურიკულუმში გაიწეროს ეროვნული სტანდარტის შესაბამისი ყველა თემა.*
ინდიკატორი *N 2.1.2.3.*	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***დაწყებითი საფეხური*** *მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი *N 2.1.2.3.*	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***რჩევა: ტექნოლოგიები - დაწყებითი საფეხური*** *სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და უზრუნველყოს რესურსების უფრო მიზნობრივი, კონკრეტული და სტანდარტთან შესაბამისი განსაზღვრა. მიზანშეწონილია სასწავლო აქტივობებთან შესაბამისობაში მიეთითოს კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსები, ელექტრონული პლატფორმები და პროგრამული უზრუნველყოფა ისე, რომ მკაფიოდ იკვეთებოდეს მათი როლი მოსწავლის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.* *საერთო შეფასებით, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს, თუმცა მათი შერჩევისა და*

		აღწერის უფრო სისტემური და მიზნობრივი დაგეგმვა გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.
ინდიკატორი *N 2.1.2.4.*	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***რჩევა - დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები,*** *სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უფრო მკაფიოდ ასახოს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკული მექანიზმები, მათ შორის - დავალებების ადაპტირების, რესურსების მოქნილი გამოყენებისა და განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების გზები, რათა არსებული პრაქტიკა სისტემურად აისახოს კურიკულუმში და კიდევ უფრო გაძლიერდეს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერა.* *საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს საფუძველი, ხოლო არსებული პრაქტიკა მიუთითებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების მზაობასა და შესაძლებლობაზე.*
ინდიკატორი *N 2.1.2.4.*	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**რჩევა: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური-** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს, მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს
ინდიკატორი *N 2.1.2.5.*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**რჩევა - სპორტი, დაწყებითი საფეხური:** სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო თანმიმდევრულ განხორციელებას.
ინდიკატორი *N 2.1.2.5.*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები*** *სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს შეფასების სისტემის უფრო მკაფიო დაკავშირება სამიზნე ცნებებთან, სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებთან. მიზანშეწონილია შეფასების*

		კრიტერიუმების გადახედვა ისე, რომ თითოეული შეფასების კომპონენტი თანმიმდევრულად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის შეფასებას. *საერთო შეფასებით, სკოლაში დანერგილია შეფასების ისეთი პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, თუმცა შეფასების სისტემის სტრუქტურული და შინაარსობრივი დაზუსტება კიდევ უფრო გააძლიერებს მის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.*
ინდიკატორი *N 2.2.1.1.*	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები*** *სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ყველა კომპონენტის - სასწავლო მიზნების, აქტივობების, რესურსებისა და შეფასების - უფრო მკაფიო დაკავშირება სასკოლო კურიკულუმთან. ასევე მიზანშეწონილია დაგეგმვის პროცესში მეტად გამოიკვეთოს კურიკულუმის სტრუქტურული ელემენტების გამიჯვნა და მათი თანმიმდევრული ასახვა სასწავლო პრაქტიკაში. საერთო შეფასებით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმზე დაყრდნობით, თუმცა მისი განხორციელების პროცესში შიდა თანმიმდევრულობისა და დაგეგმვის ერთიანობის გაძლიერება კიდევ უფრო უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.*

ინდიკატორი *N 2.2.1.3.*	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები*** *სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს შეფასების სისტემის უფრო მკაფიო სტრუქტურირება და მისი თანმიმდევრული დაკავშირება სამიზნე ცნებებთან, სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან. ასევე მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება ისე, რომ შეფასების პროცესი კიდევ უფრო გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი გახდეს ყველა მოსწავლისთვის.* *საერთო შეფასებით, სკოლაში დანერგილია შეფასების ისეთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, ხოლო შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწა კიდევ უფრო გააძლიერებს მის ხარისხსა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.*
ინდიკატორი *N 2.2.2.1.*	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**რჩევა**: სახელმწიფო ენა **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას სათანადო გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი *N 2.2.2.1.*	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები*** *სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების უფრო მკაფიო აღწერა და მათი დაკავშირება კონკრეტულ სასწავლო მიზნებთან, აქტივობებსა და სამიზნე ცნებებთან. ასევე მიზანშეწონილია რესურსების შერჩევის პროცესში იხელმძღვანელოს სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის წესის შესაბამისად, რათა გამოყენებული რესურსები იყოს მიზნობრივი, ხარისხიანი და სრულად ემსახურებოდეს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.*

		საერთო შეფასებით, სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებს, ხოლო მათი სისტემური აღწერა, შერჩევისა და გამოყენების პრინციპების კიდევ უფრო მკაფიო განსაზღვრა გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.
ინდიკატორი *N 2.2.2.1.*	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***რჩევა:*** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური სასურველია, ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები.*
ინდიკატორი *N 2.2.2.2.*	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***რჩევა: დაწყებითი საფეხური, ტექნოლოგიები*** *სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უფრო მკაფიოდ განსაზღვროს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების მიდგომები და უზრუნველყოს მათი ვალიდაცია შესაბამისი წესის საფუძველზე. მიზანშეწონილია რესურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს მათი შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სასწავლო მიზნებთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან.* *საერთო შეფასებით, სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად, ხოლო მათი შერჩევისა და ვალიდაციის პროცესის უფრო მკაფიო ფორმალიზება გააძლიერებს რესურსების ხარისხსა და გამოყენების ეფექტიანობას.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური*	*რჩევა*

ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***რჩევა:*** *მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** *სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ ქიმიის IX კლასის კურიკულუმი. კერძოდ, მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: საბაზო საფეხური:*** *1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმებს მატრიცების ერთიანი სტრუქტურული ფორმატის დანერგვა. კერძოდ, შემუშავდეს ერთიანი შაბლონი, სადაც გრაფების (თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლასტერი, შემოქმედებითი დავალების იდეა, რესურსები) თანმიმდევრობა ყველა საგანსა და კლასში იიქნება იდენტური;* *2. მიზანშეწონილია ნაცვლად ფორმულირებისა „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, გრაფას ეწოდოს „სასწავლო რესურსები“. მასში უნდა გაიწეროს არა მხოლოდ კომპლექსური დავალებისთვის საჭირო მასალა, არამედ ის წყაროები და რესურსებიც, რომლებიც აუცილებელია თემის ფარგლებში არსებული ყველა მიმდინარე საკითხის შესასწავლად.*

		3. მიზანშეწონილია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის მსგავსად, ყველა სხვა საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალქეოაბა) მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, თუ რომელი კონკრეტული საკითხი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება; *4. შემოქმედებითი ტიპის დავალება უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ, ხელშესახებ პროდუქტს და არა ზეპირ ფორმატს. მაგალითად, ნაცვლად უბრალოდ ზეპირი პრეზენტაციისა სასურველია განისაზღვროს კონკრეტული პროდუქტი (მაგ. პოსტერი). გეოგრაფიის კურიკულუმშიც (VIII კლასი, არალის ზღვის მაგალითი), ფორმულირება „ზეპირი გაზრების სახით“ უნდა შეიცვალოს მკაფიო, შემოქმედებითი პროდუქტით (მაგ. ანალიტიკური სტატია, კვლევის ანგარიში და სხვა.* *5. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმების მატრიცაში ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს შუალედური სასწავლო აქტივობა და კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი. მაგალითად, თემაზე „რომის კრიზისი და დიოკლეტიანეს რეფორმები: (ისტორია X კლასი) პროდუქტად მითითებული „ორსვეტიანი ცხრილი“ (პრობლემები და გადაჭრის გზები) წარმოადგენს მასალის გაზრების კარგ შუალედურ აქტივობას, თუმცა მას აკლია შემოქმედებითი ხასიათი. სასურველია, აღნიშნული ცხრილი მოსწავლისთვის იქცეს მოსამზადებელ ეტაპად შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად, როგორიცაა, მაგალითად: იმპერატორის მრჩევლის მოხსენებითი ბარათი (ანალიტიკური წერილი) ან საჯარო გამოსვლის ტექსტი სენატის წინაშე.“*
ინდიკატორი *N 2.1.2.2.*	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა:*** *სასურველია* ***რუსული ენის საბაზო საფეხურის*** *მე-9 და მე-10 კლასის კურიკულუმებში შესაბამის გრაფაში სტანდარტის შესაბამისად მიეთითოს სამიზნე ცნებები.*

ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: საგაზო საფეხურზე**, სახელმწიფო ენაში, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები, საგაზო საფეხური*** *მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***რჩევა: სახელმწიფო ენა** - მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **საგაზო საფეხურზე** სასურველია, რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.*
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***რჩევა - სპორტი, საგაზო საფეხური:** სასურველია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში სამიზნე ცნებები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსხვავებული ინტერპრეტაციის გარეშე: „ფიზიკური*

		განვითარება და მოტორული უნარების“ ნაცვლად „ფიზიკური თვისებები“ და „სოციალური უნარები (სპორტული ეთიკის)“ ნაცვლად „ორგანიზებულობა და თვითკონტროლი“.
ინდიკატორი *N 2.1.2.5.*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***რჩევა: საბაზო საფეხური-*** *სასურველია, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.*
ინდიკატორი *N 2.1.2.5.*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**რჩევა - სპორტი, საბაზო საფეხური:** სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო თანმიმდევრულ განხორციელებას.
ინდიკატორი *N 2.2.2.1.*	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**რჩევა**: სახელმწიფო ენა **საბაზო საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას სათანადო გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი *N 2.2.2.3.*	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***რჩევა:*** *სასურველია სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰქონდეს ამწოვი კარადა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***რჩევა:*** *მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები საშუალო საფეხური:*** *1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმებს მატრიცების ერთიანი სტრუქტურული ფორმატის დანერგვა. კერძოდ, შემუშავდეს ერთიანი შაბლონი, სადაც გრაფების (თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლასტერი, შემოქმედებითი დავალების იდეა, რესურსები) თანმიმდევრობა ყველა საგანსა და კლასში იიქნება იდენტური;* *2. მიზანშეწონილია ნაცვლად ფორმულირებისა „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, გრაფას ეწოდოს „სასწავლო რესურსები“. მასში უნდა გაიწეროს არა მხოლოდ კომპლექსური დავალებისთვის საჭირო მასალა, არამედ ის წყაროები და რესურსებიც, რომლებიც აუცილებელია თემის ფარგლებში არსებული ყველა მიმდინარე საკითხის შესასწავლად.* *3. მიზანშეწონილია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის მსგავსად, ყველა სხვა საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, თუ რომელი კონკრეტული საკითხი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება;*

		5. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმების მატრიცაში ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს შუალედური სასწავლო აქტივობა და კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***რჩევა: საშუალო საფეხურზე,*** *სახელმწიფო ენაში, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***საშუალო საფეხური*** *მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით* ***საშუალო საფეხურზე*** *სასურველია, რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**რჩევა - სპორტი, საშუალო საფეხური:** სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო თანმიმდევრულ განხორციელებას.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**რჩევა**: სახელმწიფო ენა **საშუალო საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას სათანადო გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***რჩევა:*** *სასურველია სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰქონდეს ამწოვი კარადა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დამატებით წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, შესაძლო რისკებს, საჭირო რესურსებსა და ჩართულ მხარეებს. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმაში ინდიკატორის ნომერი შეცდომითაა მითითებული - 3.4.1.2-ის ნაცვლად ცხრილში გადატანილია ინდიკატორი 3.1.2.4. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ფაქტი შეაფასა როგორც ტექნიკური ხარვეზი, რომელიც არ ახდენს გავლენას შინაარსობრივ შეფასებაზე.

სკოლამ ისევ გააგრძელა ექიმის რესურსის მოძიების პროცესი - ვაკანსია გამოცხადდა საჯარო პლატფორმაზე (https://teacherjobs.ge), სადაც ფიქსირდება, რომ ბოლო პერიოდში ვაკანსია არაერთხელ არის გამოქვეყნებული (მარტი, მაისი, ივნისი), რაც ადასტურებს პროცესის სისტემურობას და არა მის ფორმალურ ხასიათს.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი მასალა, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა შეაფასა როგორც რელევანტური და რეალისტური.

წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით განხორციელდა შეფასების კორექტირება, რის საფუძველზეც ინდიკატორი 3.4.1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. შესაბამისად, შეიცვალა სტანდარტი 3-ის საერთო შეფასებაც, რომელიც ასევე განისაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დეკლარირებული მისია და ხედვა სრულ კონცეპტუალურ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაწესებულების ორიენტირი მიმართულია ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული, ჯანსაღი თაობის აღზრდაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის მიზნები ეფუძნება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ტოლერანტობა და ეროვნული ფასეულობების დამკვიდრება, რაც უზრუნველყოფს სასკოლო პოლიტიკის რელევანტურობას სახელმწიფო საგანმანათლებლო ინტერესებთან.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის სტრატეგიული დოკუმენტებით მკაფიოდაა იდენტიფიცირებული დაწესებულების როლი, როგორც უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე მორგებული სოციო-კულტურული სივრცე. მისიისა და ხედვის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლის უპირატეს ამოცანას მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ფიზიკურ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გარანტირება წარმოადგენს. დაწესებულების სპეციფიკური და ავთენტური როლი გამოხატულია მართლმადიდებლური და ეროვნული ფასეულობების თანამედროვე საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებთან ეფექტიან სინთეზში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მდგრად სოციალიზაციასა და კულტურულ იდენტიფიკაციას. ინსტიტუციური იდენტობის მყარ საფუძველს ქმნის მისიაში დეკლარირებული „ეკლესია-სკოლა-საზოგადოება“ და „მოძღვარი-მასწავლებელი-მშობელი“ პარტნიორობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს აღზრდის პროცესში მხარეთა გადანაწილებულ და ერთობლივ პასუხისმგებლობას.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულების ფილოსოფიის ფორმირება ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის პრინციპს. სკოლაში მოქმედი მეთოდოლოგია ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფების ფორმირებასა და მუშაობის ადმინისტრირებას. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადების პროცესის რეალურობა და სანდოობა დასტურდება სამუშაო ჯგუფის N1 სხდომის ოქმით (12.09.2025). დოკუმენტით მტკიცდება, რომ ჯგუფში, დირექციასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პედაგოგებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულები მშობელთა თემისა და მოსწავლეთა კონტინგენტის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ოქმის შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს

სამუშაო პროცესის არაფორმალურ ხასიათს - შეხვედრაზე წარიმართა დებატები და ალტერნატიული მოსაზრებების განხილვა მისიის ლაკონურობასა და ისეთ კონკრეტულ აქცენტებზე, როგორიცაა ტოლერანტობა და შრომის სიყვარული.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შიდა კომუნიკაციისა და გაზიარების მიზნით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან ფორმალურ მექანიზმებს, რაც ასახულია მეთოდოლოგიურ დოკუმენტში (საჯარო განხილვები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, ელექტრონული პლატფორმები). მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ეფექტურად სტრუქტურებული კვლევის ინტრუმენტი - „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარის ნიმუში“. ანონიმური გამოკითხვის საშუალებით სისტემურად იქნა შესწავლილი სამივე სამიზნე ჯგუფის (მშობელი, მოსწავლე, თანამშრომელი) უკუკავშირი. კითხვარი მოიცავს პირდაპირ ინდიკატორებს მოქმედი მისიის მხარდაჭერის, 7-წლიანი პერსპექტივისა და 9 ძირითადი ინსტიტუციური ღირებულების (ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მიუკერძოებლობა, თანაგანცდა, ინოვაციები და სხვ.) გაზიარების თაობაზე, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ფასეულობრივ თანხმობას.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია სრულად ხელმისაწვდომია როგორც შიდა სასკოლო საზოგადოებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის. სტრატეგიული ორიენტირები ინტეგრირებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.cmidaninoskola.ge) და ფიზიკურად არის განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში, თვალსაჩინო

და ვიზუალურად აღქმად სივრცეებში. დამატებით, დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, უზრუნველყოფილია სკოლის ფილოსოფიის გავრცელება დაწესებულების ბეჭდურ და საინფორმაციო მასალებში.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - სრულად შეესაბამება იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტერმინოლოგიურ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;

- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,*☒
- *სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია,;*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმი ფილოსოფიის პროექტის შემუშავება;*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის პროექტებზე;*
- *ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარის ნიმუში.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში მოქმედი დაგეგმვის პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ინსტიტუციური განვითარების მკაფიო, სისტემური და მონაწილეობითი მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ უზრუნველყოფს გრძელვადიანი და ოპერაციული დაგეგმვის პროცესების მართებულ სტრუქტურირებას. სასკოლო საზოგადოების - დირექციის, პედაგოგიური პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეების - რეალური ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება დოკუმენტირებულია სტრატეგიული სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ფართომასშტაბიანი ანონიმური გამოკითხვების წარმოებით. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის N1 სხდომის ოქმით (12.09.2025) დასტურდება სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) პროექტის ინკლუზიური განხილვა და ფორმირება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ. სტრატეგიული ორიენტირების

ვალიდურობასა და ობიექტურობას ამყარებს 2025 წლის მაის-ივნისში ჩატარებული სასკოლო საზოგადოების საჭიროებების მრავალკომპონენტიანი კვლევა, რომელმაც გამოავლინა როგორც მოსწავლეთა (პრაქტიკული აქტივობები, კარიერული ორიენტაცია, ტექნოლოგიები), ისე მშობელთა (კომუნიკაციის გაძლიერება, უსაფრთხო გარემო) მოლოდინები, ინტერესები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულების გრძელვადიანი პრიორიტეტების იდენტიფიცირება მყარად ეფუძნება კომპლექსურ სიტუაციურ (SWOT) ანალიზს, რაც ასახულია სამუშაო ჯგუფის N2 სხდომის ოქმში. სკოლამ სიღრმისეულად შეისწავლა საკუთარი შიდა რესურსები (მრავალწლიანი გამოცდილება, კვალიფიციური კადრები, ეპარქიის მხარდაჭერა) და გარე ფაქტორები/გამოწვევები (დემოგრაფიული ტენდენციები, ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია, ტექნოლოგიური განახლება). ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სტრატეგიული ჩარჩო აგებულია ლოგიკური მატრიცის პრინციპის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების განახლებული მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე განსაზღვრულია 6 ძირითადი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი. დოკუმენტის ციკლურობისა და სტრუქტურული გამართულობის საილუსტრაციოდ თითოეული ეს გრძელვადიანი მიზანი ლოგიკურად დაყვანილია კონკრეტულ, გაზომვად და მიზნობრივ ამოცანებამდე.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სტრატეგიული მიზნების კონკრეტულ ქმედებებად გარდაქმნისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად, სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს უწყვეტი დაგეგმვის ციკლის ნაწილს და სრულ თანხვედრასა და შესაბამისობაშია 7-წლიან სტრატეგიულ მიზნებთან. სამოქმედო გეგმის შემუშავება მყარად ეყრდნობა მტკიცებულებებს და პირდაპირ პასუხობს წინა პერიოდის (2024-2025 სასწავლო წლის) შესრულების ანგარიშში (როგორც ყოველწლიური თვითშეფასების ინსტრუმენტში) გამოკვეთილ საჭიროებებს, მიღებულ გამოცდილებასა და დაინტერესებულ მხარეთა კვლევის მიგნებებს. ეს კავშირი უზრუნველყოფს იმას, რომ ერთწლიანი გეგმა დაფუძნებულია სკოლის რეალურ, იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი თითოეული კონკრეტული აქტივობა. გეგმა ხასიათდება მაღალი პრაქტიკული რეალისტურობით, ვინაიდან მასში მკაფიოდ არის გაწერილი შესრულების დროში გაწერილი რეალისტური ვადები და გრაფიკი.

განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები (სკოლის დირექცია, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები და შესაბამისი სპეციალისტები). ამასთანავე, თითოეული აქტივობისთვის გამოყოფილია შესრულების ვალიდური და გაზომვადი მტკიცებულებები/ინდიკატორები (მოდიფიცირებული კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, ანგარიშები, სხდომის ოქმები და სხვა). აქტივობების მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა პირდაპირ კორელაციაშია სკოლის ბიუჯეტთან/შესაძლებლობებთან, რაც ადასტურებს, რომ დაგეგმილი პროცესების მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერა მიღწევადი, პრაქტიკული და სრულად რეალისტურია. **სკოლას მიეცა რჩევა -** სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ლოგიკური კავშირი სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და შესაბამის აქტივობებს შორის. ამასთან, მიზანშეწონილია თითოეული აქტივობისთვის განისაზღვროს უფრო ზუსტად ფორმულირებული გაზომვადი ინდიკატორები, რაც გააძლიერებს გეგმის შესრულების მონიტორინგს, გაზრდის შეფასების ობიექტურობას და უზრუნველყოფს შედეგების სანდო ანალიზს.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმი ფილოსოფიის პროექტის შემუშავება;*

- *სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის პროექტებზე;*
- *ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარის ნიმუში;*
- *სამოქმედო გეგმის ანგარიში.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული (7-წლიანი) და სამოქმედო (1-წლიანი) გეგმების მონიტორინგის მკაფიოდ სტრუქტურირებული და ინსტიტუციონალიზებული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში“. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ეფუძნება მრავალკომპონენტიან მიდგომას: SWOT ანალიზს, სტატისტიკურ მონაცემებს, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირსა და შიდა სემესტრულ თვითშეფასებებს. მონიტორინგის სისტემა პროცესუალურია და მოიცავს რისკების შეფასებას, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას, დოკუმენტაციის გამოთხოვასა და ხარისხის შეფასების ვალიდურ 5-ქულიან სისტემას. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა (2025-2032) პირდაპირ ითვალისწინებს განვითარების ფაზურ ეტაპებს. მიმდინარე 2025-2026 წელი განსაზღვრულია, როგორც „სისტემების გამართვისა და ბაზისური მონიტორინგის დანერგვის“ ფაზა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ გრძელვადიანი მიზნები გარდაიქმნას ყოველდღიურ, საოპერაციო აქტივობებად და მათი გაზომვა მოხდეს რეალურ დროში.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი) მოიცავს კონკრეტულ ამოცანებს, აქტივობებს, ვადებს, მატერიალურ-ფინანსურ რესურსებსა და ვერიფიცირებად შესრულების ინდიკატორებს/მტკიცებულებებს. აღნიშნული გეგმის მონიტორინგი მიმდინარეობს საგნობრივი კათედრების, ხარისხის მენეჯერისა და დირექციის მიერ. პრაქტიკული რეალიზაცია დასტურდება ხარისხის მართვის მენეჯერის 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიშითა (რომელმაც შეაფასა 7-12 კლასების აკადემიური მოსწრება, შემაჯამებელი წერები და დიაგნოსტიკური ტესტირება) და კა¥თედრის ხელმძღვანელების ანგარიშებით, მაგალიტად საბუნებისმეტყველო-მათემატიკის კათედრის ანგარიშით. ორივე დოკუმენტი პირდაპირ პასუხობს სამოქმედო გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს - „სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება“. სისტემის მონაწილეობით ხასიათს ამყარებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. სტრატეგიული გეგმის მეორე მიზნის - „სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ორგანიზაციული განვითარება“ - ფარგლებში, სკოლა იყენებს „მოსწავლისა“ და „მშობლის“ კმაყოფილების კვლევის მრავალკომპონენტიან კითხვარებს. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მიგნებები (მაგ. მშობელთა მხრიდან მოსწავლის პროგრესზე დროული ინფორმაციის მოთხოვნა, მოსწავლეთა მხრიდან პრაქტიკული აქტივობებისა და კარიერული ორიენტაციის საჭიროება) პირდაპირ იქნა ინტეგრირებული სამოქმედო გეგმის შესაბამის აქტივობებში („კარიერული ორიენტაცია“, „მშობელთა ინფორმირებულობის ზრდა“). **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია მონიტორინგისა

და შეფასების პროცესში გაძლიერდეს მონაცემთა ანალიზის მიდგომა და ერთიანი ფორმით მოწესრიგდეს უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მართვას.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგის შედეგების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომუნიკაციის სისტემის განვითარების აქტივობების შესაბამისად, ხდება სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების რეგულარული განახლება, სადაც თავსდება ინფორმაცია განხორციელებული პროექტებისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. ხარისხის მართვის მენეჯერისა და კათედრების ანალიტიკური ანგარიშები, ისევე როგორც სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური შედეგები, განიხილება კოლეგიურ ორგანოებში (პედაგოგიური საბჭო, კათედრის სხდომები). ეს უზრუნველყოფს მასწავლებელთა, მშობელთა და მმართველობითი რგოლების მუდმივ ინფორმირებულობას, ზრდის ნდობის მაჩვენებელს და ხელს უწყობს ეფექტურ საგარეო თუ შიდა კომუნიკაციას.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლაში ეფექტურად ინერგება მართვის ხარისხობრივი ციკლი, რაც გულისხმობს მონიტორინგის მიგნებების გარდაქმნას სამომავლო განვითარების გადაწყვეტილებებად. გარემოს ანალიზში (SWOT) გამოკვეთილი გამოწვევები — *უფროსკლასელთა მოტივაციის ამაღლება, ციფრული ტექნოლოგიების განახლება და მშობელთა ჩართულობა* —

საფუძვლად დაედო მიმდინარე სამოქმედო გეგმის მიზნობრივ ამოცანებს. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები (მაგალითად, ხარისხის მენეჯერის მიერ I სემესტრში იდენტიფიცირებული უფროსკლასელთა გაცდენების ტენდენცია და შეფასების ობიექტურობის ხარვეზები) მყისიერად იქნა გამოყენებული განვითარების მომდევნო ეტაპის დასაგეგმად. კერძოდ, ხარისხის მენეჯერისა და საბუნებისმეტყველო კათედრის რეკომენდაციების საფუძველზე, მომავალი პერიოდის სამოქმედო ორიენტირად განისაზღვრა: პროექტული სწავლების ინტეგრირება, საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება, ციფრული რესურსების გამოყენების გააქტიურება (გაკვეთილების მინიმუმ 20%-ში) და დიფერენცირებული მიდგომების დანერგვა. ეს ნათლად ადასტურებს, რომ შიდა მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს სკოლის განვითარებისა და სამოქმედო გეგმების კორექტირების უმთავრეს საფუძველს. **სკოლას მიეცა რჩევა** - სასურველია გაძლიერდეს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სისტემური დოკუმენტირება და მათი განხორციელების მონიტორინგის ციკლური გადამოწმება, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი ცვლილებების ეფექტიანობის შეფასებას და სკოლის განვითარების პროცესის უფრო მიზნობრივ მართვას.

ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმის ანგარიში;*

- *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;*
- *სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში (2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრი;)*
- *საბუნებისმეტყველო და მათემატიკის კათედრის გამგის I სემესტრის ანგარიში;*
- *2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მოკლე ანგარიში, SWOT ანალიზის დოკუმენტი;*
- *სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევის (2025 წლის მაის-ივნისი) ანალიტიკური მიგნებები;*
- *მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევის სტრუქტურირებული კითხვარების ნიმუშები;*
- *მასწავლებელთა ანგარიშების ერთიანი სტატისტიკური მატრიცა (2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრი).*
- *ხარისხის შეფასების კრიტერიუმებისა და ქულობრივი ინტერპრეტაციის ფორმა (1-5 ქულიანი სისტემა).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ურთიერთ დაქვემდებარება წარმოდგენილია სტრუქტურის ვიზუალურ სქემით, ხოლო საშტატო განრიგით (2026 წლის 3 იანვარი) დეტალურად არის დაზუსტებული თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობა. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილეები 2, ბუღალტერი 1); ადმინისტრაციას (ადმინისტრატორი 1, ხარისხის მართვის მენეჯერი 1, მეთოდისტი 1, გახანგრძლივებულის მასწავლებელი 1, ინკლუზიურის მასწავლებელი 1, საღვთო სჯულის წრის ხელმძღვანელი 1,მოძღვარი 2, ორგანიზატორი 2, მნე 1, ბუღალტრის ასისტენტი 1, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 1, საქმის მწარმოებელი 1, საინფორმაციო მენეჯერი 1, ბიბლიოთეკარი 1, ექთანი 1, გალობის წრის ხელმძღვანელი 1, ქართული ხალხური ცეკვის წრის ხელმძღვანელი1, ზედამხედველი 1, მეეზოვე 1,მეკარე 1, დამლაგებელი 3, დარაჯი 2, ცეცხლფარეშე 1 ,ხელოსანი 1. პედაგოგი 27. სულ დასაქმებულთა რაოდენობა 2026 წლის 3 იანვრის საშტატო განრიგით შეადგენს 60 პერსონას. სკოლის დებულების დოკუმენტში განსაზღვრულია თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამავე დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი კათედრების ფუნქციები და მათი როლი სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვაში. გარდა აღნიშნულისა, სკოლას შემუშავებული აქვს პოზიციების მიხედვით დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლითაც განსაზღვრულია არა მარტო უფლება მოვალეობები კონკრეტული პოზიციის მიხედვით არამედ ანგარიშვალდებულების სისტემაც. სკოლას დასაქმებულთან გაფორმებულ ხელშეკრულებებით განსაზღვრული აქვს მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, რომლებიც შერჩეული არიან მათი ფუნქცია-მოვალეობებისა და კომპეტენციის შესაბამისად. ამრიგად ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სრულად ფარავს სკოლის საქმიანობის ყველა ძირითად სფეროსა და მიმართულებას.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (სკოლის დებულება, საშტატო განრიგი, სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება, ხელშეკრულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრუქტურული ერთეულების დებულებები) ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დოკუმენტურად განსაზღვრულია და ისეა გადანაწილებული, რომ არ ხდება ფუნქციათა/პროცედურათა დუბლირება. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია თავისი კონკრეტული საქმიანობის სფერო და პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამართულ და კოორდინირებულ მართვას. დირექცია ახორციელებს საერთო მართვასა და ღებულობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციულ და მატერიალურ მხარდაჭერას, ხოლო პედაგოგიური პერსონალი პასუხისმგებელია უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებაზე. ამრიგად, სკოლის მიერ შემუშავებული ფუნქციური განაწილება ქმნის მკაფიო პასუხისმგებლობის სისტემას და უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციები;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახ. მართლმედიდებული სკოლის საშტატო განრიგი.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრისა და ანალიზის, დასაქმების პოლიტიკის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, გადამზადების განვითარების, შეფასების, მოტივაციის და წახალისების, პერსონალის უსაფრთხოების, შიდა კომუნიკაციის, უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის სამსახურში მიღების წესებს. პოლიტიკის ამოცანებია დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავდა ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

ა) ორგანიზება/დაგეგმვა;

ბ) ორგანიზაციაში შემოსვლა;

გ) სამუშაოს მართვა;

დ) ორგანიზაციიდან გასვლა.

სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეესაბამება შრომის კოდექსს და მოიცავს როგორც შრომითი ურთიერთობების რეგულაციას, ასევე შრომის დისციპლინისა და წახალისების პრინციპებს. თანამშრომელთა მართვა ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტებისა და შრომის კოდექსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერიოდულად აანალიზებს ადამიანური რესურსების საჭიროებას და აქედან გამომდინარე ადგენს შესაბამის მოთხოვნას. გაჩენილი ვაკანტური პოზიციისთვის დგინდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება შერჩევის ეტაპები. საპატიო/არასაპატიო მიზეზით მასწავლებლის სკოლაში არგამოცხადების შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება სხვა მასწავლებლით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. პერსონალის მართვის პოლიტიკა და სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში შემუშავებულია პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არა დისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით. ვაკანტურ თანამდებობაზე პედაგოგის მიღების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკონკურსო ვადები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მასწავლებლისთვის. ღია კონკურსი ცხადდება teacherjobs.ge-ზე. პროცედურა შემდეგნაირია: პირველ ეტაპზე ხდება განცხადებების გადარჩევა, შემდეგ ინიშნება გასაუბრების დღე. საკონკურსო კომისია დადგენილი კრიტერიუმებით წარმართავს გასაუბრებას და იღებს ობიექტურ, მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას. მთელი პროცედურის განმავლობაში დაცულია გამჭვირვალობა, საჯაროობა და კოლეგიალობა.პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას დადგინდა, რომ სრულად წარმოდგენილია ცნობები ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი 3. 1. 2. 3. დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

EMIS-ის ბაზების ანალიზით დადგინდა, რომ დასაქმებულს უდასტურდება უმაღლესი განათლება, როგორც ეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებითაა განსაზღვრული. სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, მათ შორის 4 წამყვანი, 18 უფროსი და 2 მოწვეული. მოწვეულ მასწავლებლებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება რაც წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ მოწვეული მასწავლებლისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მათთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, სადაც იგი აყვანილია „მოწვეული მასწავლებლის“ სტატუსით (ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ერთი წლით). ამასთან, სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით. აღნიშნული ჯგუფები რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე, სადაც მათი კომპეტენციისა და ვალდებულებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოფიციალური ოქმების სახით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და მიუთითებს მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე სკოლაში. კათედრის სხდომებზე, სადაც გაერთიანებულია ყველა მასწავლებელი კათედრების მიხედვით, მიიღება მნიშვნელოვანი და დასაბუთებული გადაწყვეტილებები საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფისა და მათი პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვის თაობაზე, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ საგანმანათლებლო რესურსებზე, სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელ ღონისძიებებზე და სხვა; ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია სასწავლო წლის დასაწყისში

დამტკიცებული სამუშაო გეგმა. სკოლაში მასწავლებლის დასაქმებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია. ყველა სტრუქტურული ერთეულისა თუ ბრძანებით განსაზღვრული კომისიის სხდომებზე საკითხები განიხილება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროცესების ამსახველი მასალა მიუთითებს, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით მმართველობით, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები, რაც დასტურდება როგორც შიდა დოკუმენტაციით, ასევე პრაქტიკული საქმიანობით. შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისება. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა წარმატებულ საქმიანობას და მის გაზიარებას, რაც ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ერთობლივი შეხვედრების ორგანიზებით, მენეჯერული პრაქტიკის გაზიარებისა და აღიარების მიზნით. მექანიზმებისა და პრაქტიკის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სისტემურად ხორციელდება თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორის მიერ ბრძანება N 74 12.09.2025..დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მუხლი 21 ში აღწერილია თანამშრომელთა აღიარების, მოტივაციისა და წახალისების ფორმები.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორის მიერ გრძანება N 74 12.09.2025 დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი";*
- *დასაქმებულთა პირადი საქმეები;*
- *ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტი;*
- *შინაგანაწესი;*
- *emis მონაცემები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომლის ერთერთი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება მუხლი 20. ასევე სკოლის აღმასრულებელ დირექტორს დამტკიცებული აქვს ხარისხის ჯგუფის დებულება. დებულება არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება.

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;

დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საკუთარი თანამშრომლების პროფესიული ზრდაა, რომელსაც გეგმავს მათი საჭიროებების კვლევის საფუძველზე. შესაბამისად, სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულების ერთ-ერთი მიზანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა. ხარისხის განვითარების ჯგუფი მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე სხდომაზე განიხილავს მასწავლებელთა საჭიროებებს და განსახორციელებელს ღონისძიებებს. კერძოდ:

1. თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება
2. სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება

3. მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, ,,პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად“

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის დირექცია ხელს უწყობს პედაგოგებს პროფესიულ განვითარებაში, მოიძიებს საჭიროებაზე მორგებულ ტრენინგებს და უზრუნველყოფს პედაგოგთა დასწრებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა მასწავლებელთა მხარდაჭერისა და წინსვლის ადგილობრივ სქემაზე, მისი ამოქმედება გათვალისწინებულია გრძელვადიანი სტრატეგიული 7-წლიანი გეგმის პირველი პერიოდისთვის. ურთიერთ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება (კათედრის სხდომები, გაკვეთილებზე დასწრება ..) მასწავლებელთა ინიციატივების მხარდაჭერა (მოსმენა, უკუკავშირი, საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყოფა) ხელს უწყობს სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებული.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლას დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, მუხლი18 ახალი თანამშრომლი სოციალიზაცია. სადაც დეტალურადაა განსაზღრული სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის თითოეული ეტაპი: სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის მხრიდან მოაზრებული ეტაპების თანმიმდევრულობა. დადგინდა, რომ სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაცია მოიცავს სამ ეტაპს:

1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შეხედულება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. წარმატებული ადაპტაციისთვის სკოლა იყენებს შემდეგ აქტივობებს: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება; ახალი თანამშრომლისათვის

მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება; თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ;

თანამშრომლისათვის სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა. ახალი მასწავლებლის სკოლასთან ინტეგრირებაში დიდი წვლილი მიუძღვით საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეებს. სკოლაში ვიზიტის დროს, სასკოლო სივრცის დათვალიერებისას გადამოწმდა საერთო სარგებლობის სივრცეები, რომელიც, პედაგოგების თქმით, მათთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას - კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

1. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მუდმივად ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, როგორიცაა: პროექტების განხორციელება, ტრენინგის ჩატარება, შიდასასკოლო ოლიმპიადებისა და კონკურსების ორგანიზება; სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია წახალისების მექანიზმები და ფორმები; შემუშავება-დახვეწის პროცესშია კარიერული წინსვლის ადგილობრივი სქემა; თითოეული ღონისძიება ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სამოქმედო გეგმა 1 წლიანი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება". დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული პირი. ამ ჯგუფის წევრები არიან კათედრის ხელმძღვანელები. სკოლის ფუნქციებიდან და ხარისხის ჯგუფის ფუნქციებიდან ჩანს, რომ სკოლა ახდენს თავის საქმიანობის დაგეგმვას და განხორციელების შემდეგ, მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებას. სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ასევე მოქმედებს ამ ციკლის მოხედვით. მაგალითად სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის და კურიკულუმის დაგეგმვა/განხორციელება მონიტორინგის პროცესები.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესები გაწერილია სამართლებრივ დოკუმენტში - დებულებაში; ძირითად პროცესებს ასახავს შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმი). შემუშავებულია კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განსაზღვრულია პროცედურები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა ან საჩივრის წარდგენა. პროცესი მოიცავს საჩივრის მიღების, განხილვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ ეტაპებს, ასევე ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, **აღნიშნულიდან გამომდინარე**

ინდიკატორი 3.3.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია შინაგანაწესში. დოკუმენტი საჯაროა და განთავსებულია სადემონსტრაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე. სკოლას ჰყავს მოძღვარი, რომელიც რეგულარულად ატარებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებს ამ კუთხით.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *დებულება;*
- *ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;*
- *შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფა, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი, წარმატებით გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი და ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა, კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე. დამრიგებლების მოვალეობაში შედის მშობლებთან კომუნიკაციის დამყარება. მშობლებისგან მიღებული უკუკავსირების საშუალებით მიიღო უკუკავშირი სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს სასკოლო ცხოვრებასა და მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა. მშობელთა სათათბირო ორგანოს ,,მშობელთა საბჭო"-ს არსებობა ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში რაც დასტურდება მშობლებთან გასაუბრებით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საქმიანობაში. მოქმედებს: მკითხველთა კლუბი;

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის";
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- მშობელთა სათათბიროს დებულება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები. შეფასება:
  - *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
  - *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას სხვადასხვა გზით:

- იწარმოება ვიზიტორთა მონიტორინგი. სწავლის პერიოდში გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“, რომელიც შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან MES6220000353295 05.04.2022წ;
- სკოლას შემუშავებული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძანება100/ა / 16/11/2023წ.);
- სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დადებითი დასკვნა N006937324 2024 02/10.;
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშკრულება ბათუმის შპს ,,სახანძრო უსაფრთხოების“ სამსახურთან. (ხელშეკრულება 2025 წ. 04.11)

რჩევა: სასურველია სკოლას ჰქონდეს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კომპეტენციის პირთან გაფორმებული ხელშეკრულება

ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით და ახორციელებს სკოლის საზოგადოებისათვის პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი.

ამავე ბრძანების დანართი №1.2-ის მიხედვით, 100-დან 500-მდე მოსწავლეთა კონტინგენტის შემთხვევაში დასაშვებია სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ექთნის მიერ იმ პირობებში, თუ ექიმის რესურსი არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად აღნიშნულისა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი მზარდია, საჭიროა სამედიცინო მომსახურების გაძლიერება. შესაბამისად, ფიქსირდება **ხარვეზი** სკოლას არ ჰყავს ექიმი, მაშინ როცა არსებული მოსწავლეთა რაოდენობის პირობებში მოქმედი რეგულაციები მოითხოვს ექიმის რესურსის უზრუნველყოფას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის მზარდი კონტინგენტის ფონზე და საჭიროებს შესაბამის რეაგირებას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად,

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დამატებით წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, შესაძლო რისკებს, საჭირო რესურსებსა და ჩართულ მხარეებს. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმაში ინდიკატორის ნომერი შეცდომითაა მითითებული - 3.4.1.2-ის ნაცვლად ცხრილში გადატანილია ინდიკატორი 3.1.2.4. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ფაქტი

შეაფასა როგორც ტექნიკური ხარვეზი, რომელიც არ ახდენს გავლენას შინაარსობრივ შეფასებაზე.

სკოლამ ისევ გააგრძელა ექიმის რესურსის მოძიების პროცესი - ვაკანსია გამოცხადდა საჯარო პლატფორმაზე (https://teacherjobs.ge), სადაც ფიქსირდება, რომ ბოლო პერიოდში ვაკანსია არაერთხელ არის გამოქვეყნებული (მარტი, მაისი, ივნისი), რაც ადასტურებს პროცესის სისტემურობას და არა მის ფორმალურ ხასიათს.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი მასალა, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა შეაფასა როგორც რელევანტური და რეალისტური. წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით განხორციელდა შეფასების კორექტირება, რის საფუძველზეც ინდიკატორი 3.4.1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 3.4.1.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები," საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. დოკუმენტში ზოგად დებულებებთან ერთად გაწერილია: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის დადგენილი სხვა აუცილებელი ნორმები. სკოლის მიერ წარმოადგენილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. 2022 წლის 05/04 წერილი MES620000353295.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით იხილავენ უსაფრთხოების თემებს. მნიშვნელოვანია მოძღვრის როლი. სკოლას ყავს ფსიქოლოგი, რომელიც ახორციელებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას. ფსიქოლოგის სამუშაო მიმართულებები მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კუთხით მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ინდივიდუალური კონსულტაციები ემოციური, ქცევითი და აკადემიური სირთულეების შემთხვევაში; ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასება;
- მოტივაციის, თვითშეფასების, სტრესის მართვის, თვითრეგულაციის განვითარების ხელშეწყობა;
- კონფლიქტების განმუხტვის უნარების სწავლება;
- პრობლემური ქცევის შემთხვევაში ქცევითი ინტერვენციის გეგმის შედგენა და განხორციელება.

ასევე, პერმანენტულად ხორციელდება ბულინგის, ტოლერანტობის, ემპათიის, ემოციების მართვის, თანატოლთა ზეგავლენის, პირადი სივრცის, მიზნის დასახვის და სხვა თემატიკის პრეზენტაციები, რომლებიც, ასევე ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლაში არსებობს წერილების პრაქტიკა (წერილი მეუფესთან).

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის. სანიტარულ ჰიგიენას უზრუნველყოფს სამეურნეო განყოფილება. სკოლას ემსახურება სამი დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად, სკოლის სატრაპეზოს ალაგებს სკოლის დამლაგებელი. გარე სივრცეს ასუფთავებს მეეზოვე. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ევალება სკოლის ექთანს. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სანიტარული კვანძები მოწესრიგებული, სუფთა და ადაპტირებულია. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

სკოლაში სასმელი წყლის ხარისხი შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. პერიოდულად სკოლა ატარებს წყლის მიკრო-ბიოლოგიურ კვლევას. სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა ხდება ასევე წყლის დისპენსერით. სკოლა პერიოდულად უზრუნველყოფს, მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობების პროფილაქტიკურ დამუშავებას

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამისი კვალიფიკაციის კადრთან. სკოლის ოფიცერს, შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ფორმები როგორც მშობლებთან, ასევე მოსწავლეებთან 16 წელს ზემოთ და თანამშრომლებთან; მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. ოფიცრის უფლებები და მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში ფუნქციონირებს „ინფორმაციის დაცვის მექანიზმი“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენებისა და დაცვის რეგულაციები. ინფორმაციის შენახვა ხდება ყველა სტანდარტის დაცვით და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. წინა წლების მატერიალური მასალები ინახება არქივში და მასთან წვდომა მხოლოდ ბრძანებით განსაზღვრულ პირს-საქმისმწარმოებელს აქვს.

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. 2022 წლის 05/04 წერილი MES620000353295.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ფუნქციონირების პერიოდული შესაფასებლად პერიოდულად ატარებს გამოკითხვას; შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რეაგირებს საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლის საგანგებო მდგომარეობის მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ ;*
- *სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა N006937324 2024 02/10 ;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;*
- *შინაგანაწესი;*
- *სამედიცინო დახმარების წესი,*
- *დამრიგებლის პორტფელიო;*
- *ექთნის პირადი საქმე;*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. 2022 წლის 05/04 წერილი MES620000353295.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა გურიის მხარეში, ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქ. N 4 -ში მდებარე ორსართულიან შენობაში, რომლის მესაკუთრეა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია. კანონიერი მესაკუთრეობა, მოძრავი ნივთების ფლობა დასტურდება დამტკიცებული წესდებით, საჯარო რეესტრით, ქონებრივი მტკიცებულებებით, ხელშეკრულებებით, მიღება-ჩაბარების აქტებით, ანგარიშ-ფაქტურებით და ა. შ) სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი: საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სატრაპეზო, ექიმის კაბინეტი და სამასწავლებლო, სამლოცველო ოთახი, დერეფანი, სპორტული და სადღესასწაულო დარბაზები) საშუალებს იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. სკოლა ფლობს საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარს: მოსწავლეთა მერხებს, სკამებს, დაფებს, ციფრულ ტექნიკას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობას, სპორტულ ინვენტარს (320 ერთეული ერთადგილიანი სასკოლო მერხი და სკამი,22 პერსონალური კომპიუტერი,1 ლეპტოპი ,3 ნოუთბუქი,1 პროექტორი და 5ერთეული პრინტერი). სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად და შიდა კიბეებზე

დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის სპორტული დარბაზი განთავსებულია ცალკე იზოლირებულ შენობაში.. სველი წერტილები განთავსებულია სკოლის გარე პერიმეტრზე.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის წესსა და პირობებს. აღნიშნული წესით სკოლაში, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ლაბორატორიის აღჭურვილობა, რუკები, წიგნები, ელექტრონული რესურსები და სხვა).სკოლის მატერიალური რესურსები საერთო სარგებლობის სივრცეები სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. გარემოს სწორი მოწყობა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობას. მოსწავლეები იაზრებენ, რომ სკოლა არის ადგილი, სადაც იღებენ განათლებას და ამავდროულად იძენენ უნარებს, რომელთა საშუალებითაც მომავალი უნდა წარმართონ. სკოლას აქვს ასევე რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო წიგნადი ფონდით. (4389 წიგნი) დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინტერაქტიური დაფა, პროექტორი,

ერთი პერსონალური კომპიუტერი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას. ბიბლიოთეკარის მიერ წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმება და ხორციელდებოდა თემატური აქტივობები. ბიბლიოთეკაში დაცულია მოსწავლეების მიერ შექმნილი და განახლებული მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი. 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს, ამისათვის სკოლაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, სართულებზე გადასაადგილებლად შიდა კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსი. ფუნქციონირებს სიყვარულის (რესურს) ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში კეთილმოწყობილია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, განცალკევებით მდებარეობს სპორტული დარბაზის შენობა. სკოლას აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა განახორციელოს შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტული ღონისძიებები და პროექტები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ასეთ აქტივობებსა და შეხვედრებს მართავს როგორც სააქტო და სპორტულ დარბაზებში, ასევე სკოლის ეზოში. ღონისძიებების წარმართვისათვის დიდ როლს ასრულებს სკოლის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*

- *ტექნიკური პასპორტი;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *სოც. ქსელი*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო პროცესში ადმინისტრაციული საქმიანობისას აქტიურად გამოიყენება ტექნოლოგიები. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 11 კომპიუტერი. კომპიუტერები განთავსებულია ასევე სამასწავლებლოში, ადმინისტრაციის წევრთა კაბინეტებში, ბიბლიოთეკაში. სკოლა უზრუნველყოფილია ოპტიკურ- ბოჭკოვანი ინტერნეტით. უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასკოლო საზოგადოების მიერ აქტიურად ხდება სკოლის სოციალური ქსელის,

ელექტრონული ფოსტის, მართვის საინფორმაციო სისტემის, Zoom-ის პლატფორმის, ელექტრონული ჟურნალი Schoolbook-ის გამოყენება. კომპიუტერულ ლაბორატორიას სასკოლო საზოგადოება იყენებს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას, რაც ხელს უწყობს პროცესების სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბუღალტრო დოკუმენტაცია;*
- *სკოლის სოციალური ქსელი http://cmidaninoskola.ge/*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და პირზე. სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, ელექტრონული და მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია, შიდა დოკუმენტაცია. სკოლა იყენებს დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ სისტემას- https://edudocs.ge, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია. პირადი საქმეების, ხელშეკრულების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალი დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რითაც სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს SCHOOL MS-ის ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემას. სისტემის გარდა, სკოლის მართვაში ასევე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; ელექტრონული ჟურნალი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (portal.emis.ge), სადაც განთავსებულია მოსწავლის, მასწავლებლებისა და მშობლების მონაცემები. ასევე იტვირთება ინფორმაცია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ. განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საგაკვეთილო განრიგი. სისტემას ემსახურება პასუხისმგებელი პირი. ხდება ინფორმაციის განახლება-ჩასწორება საჭიროების შემთხვევაში. ეს სივრცე იძლევა სრულყოფილ სურათს სასკოლო საზოგადოების მონაცემების შესახებ. სკოლის მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახავს შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ წესსა და ვადებს. უპასუხებს წერილებს და ახდენს მყისიერ რეაგირებას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც სხვადასხვა ანგარიშებისა და ინფორმაციის გაზიარება ხდება სამინისტროსთან.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ვებ გვერდი;..
- Eschool -ის ბაზის მასალები/ფოტოები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: http://cmidaninoskola.ge/?page_ სოციალურ ქსელში კი: https://www.facebook.com/wmidaninos.samrevloskola?fref=ts_ სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა და სხვა. გვერდების ადმინისტრირებას უძღვებიან ხარისხის მართვის

მენეჯერი და საინფორმაციო მენეჯერი. ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სწორი ინფორმაციების გავრცელება. ამ მიზნით სკოლას განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც დაწესებულების სახელით ავრცელებს შესაბამის ინფორმაციას. კლასის დამრიგებლები თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში ავრცელებენ სათანადო ინფორმაციას მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს და წარმოადგინეს მტკიცებულებები იმისა, რომ საკომუნიკაციო არხებიდან: ელექტრონული ფოსტა, დახურული სოციალური ქსელის ჯგუფები შემოსულ ინფორმაციას აანალიზებს და ამის საფუძველზე გეგმავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქმიანობის გასაუმჯობესებლად. რეკომენდაციები და ჯანსაღი კრიტიკა მხედველობაში მიიღება სკოლის საქმიანობის შეფასება/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი: http://cmidaninoskola.ge/?page_რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლას ასევე აქვს სხვადასხვა სოციალური გვერდი, სადაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის განახლება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე პერიოდულად და ოპერატიულად ქვეყნდება სხვადასხვა ინფორმაცია განცხადებები, ანონსები დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. ინფორმაცია სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებების შესახებ და მიმდინარე სიახლეები. ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სკოლის ისტორია;სტრუქტურა; შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

რჩევა: სასურველია სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის ანგარიში.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- http://cmidaninoskola.ge/?page;
- https://www.facebook.com/wmidaninos.samrevloskola?fref=ts .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს დაგეგმვისას სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის თანხვედრას.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება დირექტორის მიერ, მანამდე გაცნობა ხდება პედსაბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა დირექტორის მიერ. განკარგვა ხდება დირექტორის და ფინანსისტის მიერ, მონიტორინგი - დამფუძნებლის მიერ. ფინანსურ ანგარიშს აკეთებს ფინანსისტი და მისი ასისტენტი..

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2026 წლის ბიუჯეტი;*

- *სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და ფუნდამენტური გარანტიების დაცვა წარმოადგენს ინსტიტუციური მოწყობისა და საგანმანათლებლო პროცესის ფუნდამენტს. სკოლაში შემუშავებული, პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი N2, 2023 წ.) და მოქმედი „შინაგანაწესი“ სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, „ბავშვის უფლებათა კოდექსსა“ და ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციასთან. სკოლის შიდასამართლებრივი აქტებით რეგლამენტირებულია

სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ქცევის წესები, უფლებები და მოვალეობები, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. მასწავლებელთა უფლება-მოვალეობების (მუხლი 28) და ქცევის წესების (მუხლი 35, 36) მიხედვით, პედაგოგიური პერსონალი ვალდებულია გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება და მზრუნველობა ყველა მოსწავლის მიმართ და უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვისაც. სკოლა ორიენტირებულია ფსიქო-ემოციურად სტაბილური, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნაზე. შინაგანაწესით მკაცრად იკრძალება მოსწავლეთა მიმართ ფიზიკური, სიტყვიერი თუ ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობისა და შეურაცხყოფის მიყენება. სკოლაში მოქმედებს როგორც პრევენციული, ასევე რეაგირების მექანიზმები:

- **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის/მენეჯერის ინსტიტუტი (მუხლი 12):** სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 70, 09.09.2025) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. იგი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში დისციპლინისა და წესრიგის დაცვაზე, რეაგირებს კონფლიქტებზე (მათ შორის, V-XII კლასებში ჩხუბის ან დაპირისპირების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოძღვართან შეხვედრას, მშობლის გამოძახებას და დარღვევის ფურცლის შევსებას).
- **ინსტიტუციური სამედიცინო მხარდაჭერა (მუხლი 20):** სკოლის ექთანი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას და ფიზიკური აღზრდის პროცესში მოსწავლეთა ჯანმრთელობის ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებას.

- **პერსონალურ მონაცემთა დაცვა (მუხლი 13):** სკოლაში ფუნქციონირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემების დამუშავების კანონიერებას, კონფიდენციალობის სტანდარტების დაცვას და მარეგულირებელ სამსახურთან ურთიერთობის კოორდინაციას.
- **ობიექტური შეფასების სისტემა (მუხლი 42, 43):** მოსწავლის განათლების უფლების რეალიზაცია დაცულია გამჭვირვალე შეფასების მეთოდოლოგიით. I-IV კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი, თვისებრივი შეფასება კომენტარების სახით, ხოლო V-XII კლასებში - 10-ქულიანი სისტემა სამი კომპონენტის მიხედვით (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებები). განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე, რაც აყალიბებს სტრესისგან თავისუფალ გარემოს. უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების გარანტიები რეალიზებულია საგანმანათლებლო ინსტრუმენტებითაც: კომპლექსური პროექტით „უსაფრთხო მოქალაქე - დაცული საზოგადოება“ მოსწავლეებმა პრაქტიკულად აიმაღლეს სამოქალაქო ცნობიერება და საგანგებო სიტუაციებში ქცევის კულტურა (112-ის მომსახურების ცენტრში ვიზიტით), რაც ადასტურებს უფლებრივი გარანტიების პრაქტიკულ ეფექტიანობას.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა უზრუნველყოფს მართვისა და საინფორმაციო პროცესების სრულ საჯაროობას, გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ინსტიტუციურად გამოიყენება როგორც ციფრული, ისე ფიზიკური და ვერბალური საკომუნიკაციო არხები:

- **ციფრული პლატფორმა:** სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და მოსწავლის სტატუსის მართვასთან (ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებული მარეგულირებელი წესები მუდმივად ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://cmidaninoskola.ge/.
- **ფიზიკური სივრცე:** საქმისმწარმოებლის ფუნქციური მოვალეობების (მუხლი 17) ფარგლებში, სკოლის შენობის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას მოწყობილია საინფორმაციო სტენდი, სადაც სისტემატურად თავსდება მიმდინარე სამართლებრივი აქტები და რეგულაციები.
- **პარტნიორული კომუნიკაცია და რეფლექსია:** სადამრიგებლო ჟურნალებისა და მშობელთა კრების ოქმების ანალიზი (მაგ: ოქმი N1, 09.09.2025) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები (მუხლი 29) ახორციელებენ მოსწავლეთა და მშობელთა პროაქტიულ ინფორმირებას სასკოლო რეგულაციების, დღის რეჟიმის, გაცდენების სავარაუდო სამართლებრივი შედეგებისა და სიახლეების შესახებ. მასწავლებლები სემესტრის დასაწყისში მშობლებს განმარტებებს აძლევენ სასწავლო გეგმისა და შერჩეული მეთოდოლოგიის თაობაზე. ინფორმაციის გამჭვირვალობისა და თემის პარტნიორული ჩართულობის მაღალ სტანდარტს აძლიერებს ინტეგრირებული სასკოლო პროექტების პორტფოლიო (პროექტები: „ათინათი - ჩვენ ვქმნით ახალ ბიბლიოთეკას“, „ეკოამბავი რომელსაც ჩვენ ვწერთ“). პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და რეფლექსიის ეტაპზე სრულად არის უზრუნველყოფილი ორმხრივი უკუკავშირი, მოსწავლეთა იდეების თავისუფალი გამოხატვა (რაც მასწავლებლის ეთიკური მოვალეობაა) და მშობელთა თემის აქტიური თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის სამართლებრივი ურთიერთობები ფორმდება წერილობითი ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ხელშეკრულება წარმოადგენს სრულყოფილ, მკაფიო და გამჭვირვალე დოკუმენტს, რომელიც ნათლად აბალანსებს მხარეთა ინტერესებს:

- **უფლება-მოვალეობების დიფერენცირება:** ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი სკოლის ვალდებულება ხარისხიანი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე, აგრეთვე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა (სწავლის საფასურის შემოტანის წესი). ხელშეკრულების გაფორმების პროცესს წინ უსწრებს გამჭვირვალე ადმინისტრაციული პროცედურა: მოსწავლის ჩარიცხვა ხდება გასაუბრების საფუძველზე (მუხლი 40), ხოლო ჩარიცხვის შემდგომ მშობელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესისა და სასკოლო რეგულაციების გაცნობას, რაც გამორიცხავს მხარეთა შორის ორაზროვნებას და ზრდის ურთიერთპასუხისმგებლობას.
- **სამართლებრივი ვალიდურობა და პერიოდულობა:** ხელშეკრულებები ხელმოწერილი და განახლებულია მიმდინარე 2025-2026 სასწავლო წლისთვის, რაც მიუთითებს დოკუმენტაციის ვალიდურობაზე, სისტემურ კონტროლსა და დროულ ადმინისტრირებაზე.
- **ინფორმირებული თანხმობა და მონაცემთა დაცვა:** ხელშეკრულებაში ინტეგრირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, მათ შორის, მშობლის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სასწავლო-შემოქმედებითი

პროცესის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებაზე. ეს პირდაპირ მიუთითებს სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის უახლესი სტანდარტების იმპლემენტაციაზე სასკოლო პრაქტიკაში.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი (2024 წ.);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025 - 2026 წ.წ.);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N 70 (09.09.2025 წ.) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;*
- *მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში და გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*
- *სადამრიგებლო ჟურნალები და მშობელთა კრების ოქმები;*
- *სკოლის ოფიციალური ვებგვერდი (http://cmidaninoskola.ge/);*
- *ინტეგრირებული სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია და რეფლექსიის აქტები;*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუებით დადგინდა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში“ შემუშავებული და მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (2023 წ.). აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივად გამართულია და სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. წესში მკაფიოდ და გამჭვირვალედ არის გაწერილი პირველკლასელთა მიღების კრიტერიუმები, მობილობის განხორციელების ვადები, სტატუსის შეჩერების (მათ შორის, 45 სასწავლო დღის განმავლობაში გაცდენების გამო) და სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.

ინდიკატორია 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის პრაქტიკული საქმიანობა (დირექტორის ბრძანებები, საქმისწარმოების მასალები), რითიც დასტურდება, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს განსაზღვრულ პროცედურებს. საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის მექანიზმები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ქმედება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით და ოპერატიულად აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS). მოსწავლის ჩარიცხვისას მშობლებთან ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულებები, სადაც დაცულია მხარეთა უფლება-

მოვალეობები და გაწერილია ადმინისტრაციული და დისციპლინური პირობები. ინტერვიუებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება იცნობს და მიჰყვება ამ წესებს.

ინდიკატორია 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი. დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სწავლის პირობების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და შიდა პოლიტიკის (შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები) შესახებ. აღნიშნული მასალები განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://cmidaninoskola.ge/), აგრეთვე თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სკოლის ადმინისტრაციულ სივრცეში არსებულ საინფორმაციო სტენდებზე. მშობლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულნი როგორც ძირითადი პროგრამების, პროექტების, სასკოლო აქტივობების, ისე სკოლაში მოქმედი დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების (მაგალითად, გალობისა და ცეკვის უფასო წრეები, კლუბები, კვება) შესახებ.

ინდიკატორია 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ოფიციალური საინფორმაციო არხების (ვებგვერდი, სოციალური ქსელები) მონიტორინგით დადგინდა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არის ობიექტური, კანონმდებლობასთან შესაბამისი და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს. ინფორმაციის განახლება ხდება პერიოდულად, მიმდინარე სასწავლო წლის საჭიროებების გათვალისწინებით. პერსონალის (დამრიგებლების) მიერ მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირება მიმდინარე საკითხებზე ხორციელდება რეგულარულად, რაც დასტურდება სადამრიგებლო ჟურნალებში არსებული კომუნიკაციის ჩანაწერებითა, მშობელთა კრებების ოქმებითა და ინტერვიუებით. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ემსახურება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა თანაბარი და ინკლუზიური ჩართულობის ხელშეწყობას.

ინდიკატორია 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი" (2023 წ.);*
- *სკოლის შინაგანაწესი (2024 წ.);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 წ.წ.);*
- *მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება;*
- *სკოლის ვებგვერდი (http://cmidaninoskola.ge/);*
- *სადამრიგებლო ჟურნალი;*
- *გალობისა და ცეკვის უფასო წრეებისა და კლუბების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*

- *დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში ინსტიტუციურ დონეზეა მოწესრიგებული მოსწავლეთა ინტეგრაციის საკითხი. კერძოდ, შემუშავებულია და პრაქტიკაში მოქმედებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (2023 წ.). აღნიშნული სამართლებრივი აქტი დეტალურად განსაზღვრავს პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსულ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუების მიზანმიმართულ პროცედურებს. დოკუმენტი მოიცავს ადაპტაციის პერიოდის მართვის კონკრეტულ სტრატეგიებს,

მათ შორის, დღის რეჟიმის ფსიქო-ემოციურ ორგანიზებასა და სასკოლო საზოგადოებაში ჩართვის სამოქმედო მექანიზმებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის ადმინისტრაციასთან გასუბრებით.

ინდიკატორის 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების პირველივე დღიდან უზრუნველყოფს პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. საქმისწარმოების მასალებითა და პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ ადაპტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი დამრიგებლები და სასკოლო საზოგადოების წევრები. ეს პროცესი სისტემურად აისახება წინასწარ დაგეგმილ სადამრიგებლო საათების სტრუქტურაში და მშობლებთან მჭიდრო, კოორდინირებულ კომუნიკაციაში, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლის სასწავლო პროცესში უმტკივნეულო ინტეგრაციისთვის. აღნიშნული დასტურდება სკოლიის მოსწავლეებთან ინტერვიუებით.

ინდიკატორის 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური წინსვლისა და ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს მრავალპროფილური „მოსწავლეთა მხარდაჭერის საკონსულტაციო ჯგუფი“, რომელიც მოქმედებს სპეციალური დებულების საფუძველზე. ჯგუფის შემადგენლობაში ფუნქციურად არიან ინტეგრირებულნი ფსიქოლოგი, საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი და ხარისხის მართვის მენეჯერი. მხარდაჭერის სისტემა ეყრდნობა მეთოდოლოგიურად გამართულ 5 ძირითად ეტაპს: იდენტიფიცირება, ანალიზი, საჭიროებების დადგენა, სამოქმედო გეგმის შემუშავება და

მიმდინარე მონიტორინგი. ეს კომპლექსური მექანიზმი იძლევა დაბალი აკადემიური მოსწრების ან/და სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა დროული იდენტიფიცირებისა და მათთვის ეფექტური აკადემიური კონსულტაციების გაწევის შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმის არსებობა და პრაქტიკული გამოყენება დასტურდება მოსწავლეებთან და მშობლებტან ინტერვიუებით.

ინდიკატორის 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს გამართულ და ოპერატიულ ადმინისტრაციულ მომსახურებას. მოსწავლის პირად საქმეთა წარმოება, მობილობის პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ცნობების გაცემა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საგანმანათლებლო რეგულაციებით დადგენილ გონივრულ ვადებში. მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი გარანტიები ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და მშობლებთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში. სკოლის ადმინისტრაციული გუნდი ხელმისაწვდომია სამუშაო საათების განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი ადმინისტრაციული მოთხოვნის დროულ და სამართლებრივ გადაჭრას.

ინდიკატორის 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის შინაგანაწესის (მუხლი 75.5) და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწესებულება მიზანმიმართულად და ინტენსიურად უწყობს ხელს არაფორმალური განათლების განვითარებას. წარმოდგენილი პორტფოლიოს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა იდეებზე დაფუძნებულ მრავალფეროვან პროექტებს:

- **პროექტი „ჩვენ ვქმნით ახალ ბიბლიოთეკას - ათინათი“:** მიმართული იყო წიგნისადმი ინტერესის გაზრდისა და წერითი კულტურის განვითარებისკენ. მოსწავლეები უშუალოდ ჩაერთვნენ ხელნაწერი წიგნების დამზადებაში, ილუსტრირებასა და სივრცის ორგანიზებაში, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების რეალიზებას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა თემში არსებული სოციალური კომპონენტის გააქტიურება (ხანდაზმულ ადამიანებთან სტუმრობა და მათი ისტორიების ჩაწერა).
- **ეკოლოგიური პროექტი „ეკოამბავი რომელსაც ჩვენ ვწერთ“:** ორიენტირებული იყო გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. მოსწავლეებმა პრაქტიკულად განახორციელეს ნარჩენების დახარისხება, სკოლის ეზოს დასუფთავების აქცია და ნერგების/ყვავილების დარგვა, რამაც ხელი შეუწყო გუნდური მუშაობისა და კვლევის უნარების ჩამოყალიბებას.
- **პროექტი „უსაფრთხო მოქალაქე – დაცული საზოგადოება“:** მიზნად ისახავდა სამოქალაქო და საგანგებო უსაფრთხოების წესების შესწავლას. თეორიულ სწავლებასთან ერთად, მოსწავლეებმა განახორციელეს სასწავლო ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში, სადაც რეალურ გარემოში გაეცნენ ოპერატორებისა და მაშველების მუშაობის სპეციფიკას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მასწავლებელთა ანგარიშები და თანდართული ფოტომასალა, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუები ნათლად ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს თეორიული ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მოსწავლეების ინიციატივების მხარდაჭერასა და წახალაისებას.

ინდიკატორის 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში დანერგილია და ფუნქციონირებს უკუკავშირის სისტემური მექანიზმები. ფიზიკურ დონეზე სკოლის ფოიეში განთავსებულია „წინადადებების ყუთი“, რომელიც რეგულარულად მოწმდება, ხოლო მასში დაფიქსირებული ინიციატივები თუ რეკომენდაციები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და აისახება სკოლის სამოქმედო გეგმებში. გარდა ამისა, სკოლა ახორციელებს მიზნობრივ გამოკითხვებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - „მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა: კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასება“. აღნიშნული კითხვარი მოიცავს როგორც რაოდენობრივ (1-5 ქულიანი შკალა), ისე თვისობრივ (ღია კითხვები მომსახურების გაუმჯობესების შესახებ) კომპონენტებს. კვლევის შედეგები პირდაპირ გამოიყენება მომსახურების ხარისხის შეფასების, საჭიროებების გამოვლენისა და მომდევნო სასწავლო წლის აქტივობების მოდიფიცირებისთვის. პროექტების რეფლექსიის ნაწილში ასევე მკაფიოდ დასტურდება, რომ ადმინისტრაცია და პერსონალი აანალიზებენ მოსწავლეთა კოგნიტურ და ემოციურ უკუკავშირს მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

ინდიკატორის 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (2023 წ.);*
- *„მოსწავლეთა მხარდაჭერის საკონსულტაციო ჯგუფის დებულება“;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *მშობლებთან გასაფორმებელი ორმხრივი ხელშეკრულებების ნიმუშები;*
- *სადამრიგებლო ჟურნალები და მშობელთა კრებების ოქმები;*
- *პროექტის პორტფოლიო „ეკოამბავი რომელსაც ჩვენ ვწერთ“;*
- *პროექტის პორტფოლიო „ჩვენ ვქმნით ახალ ბიბლიოთეკას - ათინათი“;*
- *პროექტის პორტფოლიო „უსაფრთხო მოქალაქე – დაცული საზოგადოება“;*
- *„მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის“ კითხვარი;*
- *სასკოლო პროექტების ჩამონათვალი;*
- *პროექტები და ღონისძიებები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ინსტიტუციურ დონეზეა მოწესრიგებული და ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. სკოლაში მიზანმიმართულად მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკა“, რომელიც ადგენს მომსახურების მიწოდების მკაფიო სტრუქტურას VII-XII კლასების მოსწავლეებისთვის, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მომსახურების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ჯგუფური (სადამრიგებლო საათები, თემატური სემინარები), ისე ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატში. 2025- 2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და დამრიგებლის მოვალეობებით პირდაპირ არის განსაზღვრული მოსწავლეთა მხარდაჭერა პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესში. სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფია და პოლიტიკა ეფექტურად ახდენს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების სინთეზს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ რეალიზებას, თვითშემეცნებასა და ღირებულებებზე დაფუძნებული ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აქტიურად იყენებს მრავალმხრივ საკომუნიკაციო არხებს საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ოფიციალურ სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე) პერიოდულად და სისტემატურად თავსდება სანდო

ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ღია კარის დღეების, საგანმანათლებლო გამოფენებისა და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ. სადამრიგებლო ჟურნალებისა და ღონისძიებათა მასალების ანალიზით დგინდება, რომ მე-9 და მე-12 კლასების მოსწავლეებთან ტარდება მიზნობრივი შეხვედრები პროფესიული ტესტირებისა და პროგრამა „ცნობიერი არჩევანის“ თემატიკაზე. საინფორმაციო ბაზასა და პრაქტიკულ გამოცდილებას არსებითად აფართოებს არაფორმალური აქტივობები. კერძოდ, ვიზიტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (112) თანამშრომლებთან და მაშველებთან, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, რეალურ გარემოში გაეცნონ სპეციფიკურ პროფესიებს, შრომით პირობებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში დანერგილია კარიერული მომსახურების ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ფარგლებში, 2026 წლის 15 მაისს ჩატარდა „მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების მიზნით“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო VIII-XII კლასების 85 მოსწავლემ. კვლევა ეყრდნობოდა სპეციალურად შემუშავებულ კითხვარს. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა მოსწავლეთა საერთო კმაყოფილების მაღალი დონე. მიღებული თვისობრივი მონაცემების საფუძველზე სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგიურმა საბჭომ მოახდინეს გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. გამოიკვეთა საჭიროება პროფესიული განათლების შესაძლებლობების უფრო ფართო გაცნობისა და პრაქტიკული ვიზიტების გაზრდის შესახებ.

კვლევის ანალიზის ანგარიშის საფუძველზე, სკოლამ მიიღო კონკრეტული სტრატეგიული გადაწყვეტილებები მომავალი 2026-2027 სასწავლო წლისთვის. გეგმა ითვალისწინებს პარტნიორობის გაფართოებას პროფესიულ კოლეჯებთან, მინიმუმ 2 ახალი სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას სხვადასხვა საწარმოო/ორგანიზაციულ სივრცეში და სკოლაში „კარიერული ფორუმისა და პროფესიათა პრეზენტაციების კვირეულის“ მოწყობას. პედაგოგიური საბჭოს ოქმებით ასევე დასტურდება, რომ სკოლა სისტემურად აანალიზებს კურსდამთავრებულთა ჩარიცხვის დინამიკას, რაც საფუძვლად უდევს პროფესიული ორიენტაციის პროგრამის შემდგომ მოდიფიცირებას.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკა“;*
- *სასკოლო-სასწავლო გეგმა (2025-2026 წწ.);*
- *„მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა;*
- *„კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების ანგარიში“;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სადამრიგებლო ჟურნალები (მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასები);*
- *პროექტის პორტფოლიო „უსაფრთხო მოქალაქე – დაცული საზოგადოება“;*
- *სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი;*
- *მშობელთა კრების ოქმები;*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა სწავლების პროცესი ორგანიზებულია მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა სრული დაცვით. საანალიზო პერიოდში დაწესებულებაში ირიცხება 4 სსსმ მოსწავლე. სკოლის მიერ შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) განახლებული ფორმა (2026 წ.), რომელიც წარმოადგენს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე სასწავლო პროცესის ადაპტაციის ეფექტურ ინსტრუმენტს. დოკუმენტის სტრუქტურა ვალიდურია და სრულყოფილად ასახავს მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი ცოდნის აქტუალურ დონეს, მის ძლიერ მხარეებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან სასწავლო მიზნებს. ინკლუზიური განათლების პრინციპები ლოგიკურადაა ექსტენსირებული სასკოლო ცხოვრების არაფორმალურ გარემოზეც. სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და მიზნობრივი ინტეგრაციული აქტივობები (მაგალითად, შემეცნებითი პროექტი/ღია გაკვეთილი „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“) პირდაპირ ემსახურება სსსმ მოსწავლეთა სოციალიზაციას, სასკოლო საზოგადოებაში სტიგმების მსხვრევასა და პოზიტიური, ემპათიური და მიმღებლური კლიმატის ფორმირებას. აღნიშნული მიდგომა სრულ თანხვედრაშია დაწესებულების დეკლარირებულ პრინციპებთან. სკოლის მართლმადიდებლური სტატუსისა და შინაგანაწესის მიხედვით, პედაგოგიური პერსონალი ვალდებულია გამოიჩინოს

თანაბარი ყურადღება და მზრუნველობა ყველა მოსწავლის მიმართ, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად, და უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სასწავლო გარემოში.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესს აქვს გამოკვეთილი ინტერდისციპლინური ხასიათი. სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალურად ფორმირებული ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც კოორდინირებულად თანამშრომლობენ სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი. ჯგუფის სხდომების ოქმების ანალიზი ადასტურებს, რომ შეხვედრები ტარდება რეგულარულად და დინამიკაში (სექტემბერი, დეკემბერი, იანვარი), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის წინსვლის უწყვეტ შეფასებას. პროცესის მრავალმხრივი ანალიზით იკვეთება თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- **კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) ჩართულობა:** მშობელი აქტიურად ესწრება ჯგუფის სხდომებს და უშუალო მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური მიზნების დასახვისა და სტრატეგიების განსაზღვრის პროცესში.
- **საგანმანათლებლო და საგნობრივი მხარდაჭერა:** სკოლაში შემუშავებულია მოდიფიცირებული/ადაპტირებული გეგმები კონკრეტული საგნების (მაგალითად: ქიმია, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და სხვ.) მიხედვით. საგნის მასწავლებლები, სპეციალურ მასწავლებელთან მჭიდრო მეთოდოლოგიური თანამშრომლობით, ეფექტურად განსაზღვრავენ დიფერენცირებულ აქტივობებს.

- **პერიოდული მონიტორინგი და მოდიფიკაცია:** ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება მიღწეული შედეგების ინტერდისციპლინური შეჯამება. გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე (მაგალითად, ქართულ ენაში იდენტიფიცირებული სირთულეების საპასუხოდ), ხორციელდება სასწავლო აქტივობებისა და მიდგომების დროული გადახედვა და გეგმის მოდიფიცირება. ეს პროცესი ლოგიკურად უკავშირდება ხარისხის მართვის შიდა მექანიზმებს, ვინაიდან სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი და საგნობრივი კათედრები რეგულარულად ახდენენ საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს, რათა გამოვლინდეს საჭიროებები და დაისახოს გზები თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მაქსიმალური მიღწევისათვის.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სპეციალური მასწავლებლის მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიში (2025-2026 სასწავლო წელი);*
- *ადაპტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) საგნების მიხედვით (ქიმია, ქართული ენა, ისტორია);*
- *ისგ ჯგუფის სხდომების ოქმები (№1, №2, №3);*
- *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვალიდური, სტრუქტურული ფორმა (2026 წელი);*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *პროექტი „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, რაც გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი (I-IV კლასების მოსწავლეებისთვის), რომლის საქმიანობა რეგულირდება სპეციალური დებულებით. მომსახურება მოიცავს კვებას (ტრაპეზი/სადილი), დასვენებას, ეზოში თამაშს, საშინაო დავალებების მომზადებასა და განტვირთვის აქტივობებს. მომსახურება ხორციელდება სკოლის მიერ შერჩეული კვალიფიციური კადრების (კურატორების) მიერ, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი მომსახურების გაწევა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს და ხორციელდება მშობლებთან შეთანხმებით (ხელშეკრულების საფუძველზე). აღნიშნული მომსახურება მხარდაჭერილია მშობლების მიერ და მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას (დავალებების მომზადება) და მათ უსაფრთხო გარემოში ყოფნას სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. მომსახურების პირობები (განრიგი, საფეხურები) მკაფიოდ არის განსაზღვრული: I კლასისთვის 16:30-მდე, II-III კლასებისთვის 16:45-მდე, ხოლო IV კლასისთვის 17:00 საათამდე.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა უზრუნველყოფს მომსახურების განხორციელებას უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კვალიფიციურ კადრებთან, მშობლებთან, არსებული მონიტორინგის მექანიზმები უზრუნველყოფს შიდა კონტროლს მოსწავლეთა დაცულობისა და კეთილგანწყობილი გარემოს შესანარჩუნებლად.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამატებითი საღამოზრდელო მომსახურების (გახანგრძლივებული დღის ჯგუფი) დებულება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი;*
- *ხელშეკრულება შპს „სახანძრო უსაფრთხოებასთან“ (04.11.2025 წ.);*
- *სკოლის შინაგანაწესი (2024 წელი);*
- *მშობლის ხელშეკრულება (2025-2026 წწ.);*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის დაგეგმვა არ არის ერთჯერადი აქტივობა, არამედ უწყვეტი პროცესი, რომელიც ეფუძნება წინა წლის შედეგების ანალიზს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებასა და მშობელთა ჩართულობის ხარისხის გათვალისწინებას. ამასთან, პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მონაწილეობას: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მათი შედეგებისა და აქტივობებში ჩართულობის მიხედვით, ხოლო მშობელთა ხედვები და დამოკიდებულებები გათვალისწინებულია როგორც კურიკულუმის დაგეგმვის, ისე მისი შეფასების ეტაპზე . შედეგად, კურიკულუმი წარმოადგენს შეთანხმებულ, გაზიარებულ და საჭიროებებზე მორგებულ დოკუმენტს, რომელიც ეფექტურად ემსახურება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. წარმოდგენილი მტკიცებულებები და ინტერვიუები სასკოლო

საზოგადოების წევრებთან ასევე აჩვენებს, რომ კურიკულუმის შემუშავება დაკავშირებულია კათედრების სისტემურ მუშაობასთან, სადაც განიხილება სასწავლო რესურსები, აქტივობები და სასწავლო წლის პრიორიტეტები . ეს მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად და ეფუძნება როგორც პროფესიულ გამოცდილებას, ისე სკოლის კონტექსტს.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესები. კერძოდ, კათედრის სამოქმედო გეგმა მოიცავს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას, სასწავლო აქტივობების დაგეგმვას, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვას და ოლიმპიადებისთვის მზადებას. ასევე, მეთოდოლოგია პირდაპირ მიუთითებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე და მათი ხედვების გათვალისწინებაზე, რაც კურიკულუმის ღირებულებით და პრაქტიკულ ნაწილში აისახება . შედეგად, კურიკულუმი არ არის ფორმალური დოკუმენტი, არამედ ასახავს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინტერესების სინთეზს.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დოკუმენტურად და ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი სასკოლო საზოგადოების მიერ ტანამშრომლობით განხორციელებული საქმიანობაა. დოკუმენტებში აღწერილი პრაქტიკა მიუთითებს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა და განვითარება ხორციელდება კათედრების აქტიური მონაწილეობით, რაც გულისხმობს მასწავლებელთა უშუალო ჩართულობას შინაარსის, რესურსებისა და სასწავლო აქტივობების განსაზღვრაში . კათედრის სხდომებზე განიხილება და

მტკიცდება კურიკულუმთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის თემატური მატრიცები, სასწავლო რესურსები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები . ამასთან, მეთოდოლოგიური დოკუმენტი უსვამს ხაზს დირექციისა და პედაგოგიური პერსონალის თანამშრომლობას, აგრეთვე პროცესის კავშირს მოსწავლეთა შედეგებისა და მშობელთა ჩართულობის ანალიზთან ეს გარემოება აჩვენებს, რომ კურიკულუმის შექმნა ეფუძნება ფართო სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას - როგორც პირდაპირ (მასწავლებლები, ადმინისტრაცია), ისე ირიბად (მოსწავლეები, მშობლები). შედეგად, კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის პროდუქტს, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად, პროფესიული დიალოგისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას და მისი გააზრების პროცესს როგორც მასწავლებლებში, ისე მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში. კურიკულუმის გაზიარება განსაკუთრებით იკვეთება მისი შეფასებისა და გაუმჯობესების ეტაპზე, სადაც გათვალისწინებულია მშობელთა დამოკიდებულებები, მათი ჩართულობა და სკოლის მისიისადმი მათი დამოკიდებულების ანალიზი. ეს მიუთითებს, რომ კურიკულუმი ცნობილია და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. ასევე,

კათედრების მუშაობის ფორმატი - რეგულარული შეხვედრები, შედეგების განხილვა და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვა - ქმნის სივრცეს, სადაც კურიკულუმი მუდმივად განიხილება და ერთიან ხედვად ყალიბდება. შედეგად, კურიკულუმი გაზიარებულია როგორც პედაგოგიურ კოლექტივში, ისე უფრო ფართო სასკოლო საზოგადოებაში, რაც უზრუნველყოფს მის საერთო გაგებას, მიღებასა და პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი კლასების კათედრა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი*
- *კათედრების ოქმები;*
- *მასწავლებლების ანგარიშები;*
- *კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა სხვადასხვა ტიპის დავალებების შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში, შესასწავლ საკითხებთანთან დაკავშირებით მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები (,,ბუკლეტის შექმნა ცხოველებისა და მცენარეების ზრუნვის შესახებ" (მე და საზოგადოება), ,,წერილი ადგილობრივ თვითმართველობას გურიაში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისათვის (ჩვენი საქართველო), როგორ წარმოვაჩინო

	პრეზენტაციის საშუალებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს დიდი არტეზიული აუზის წყლებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის?" (გეოგრაფია), ,,სცენარი/ვიდეორგოლი დემოკრატიული სახელმწიფოს არსი" მოქალაქეობა), ,,საგაზეთო სტატიის შექმნა ნაპოლეონის ეპოქის შემდგომ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით" (ისტორია) - ხელს უწყობს როგორც სასწავლო-შემოქმედებით უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და პრაქტიკული რეალიზების პროცესს ეფექტურად აძლიერებს სავალდებულო საგნის — „პროექტი მოქალაქეობაში" ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროექტები, როგორიცაა: „ეკოამბავი, რომელსაც ჩვენ ვწერთ", „ჩვენც დავბერდებით" , „უსაფრთხო გარემო — დაცული საზოგადოება". აღნიშნულ საგნობრივ აქტივობებთან ერთად, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი გარე საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ ინიციატივებში; კერძოდ, სკოლა მონაწილეობს საქართველოს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტში — „საქართველოს პირველი რესპუბლიკა", ასევე სკოლებს შორის გამართულ ინტელექტუალურ ჩემპიონატებში („რა? სად? როდის?"), სასკოლო ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და შემეცნებით ექსკურსიებში. ეს

	ყოველივე უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერსა და მოსწავლეთა სამოქალაქო და ისტორიული ცნობიერების ამაღლებას. კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო რესურსების გამდიდრების გრძელვადიან პერსპექტივაში აღსანიშნავია სკოლის მიმდინარე ინიციატივა — სასკოლო მუზეუმის დაარსების პროცესი. მოცემული სივრცე დაარსების შემდგომ ინტეგრირებული იქნება სასწავლო პროცესში, რაც საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კვლევითი და თვალსაჩინო სწავლების მნიშვნელოვან ბაზას შექმნის. ყოველივე ეს ერთობლიობაში ადასტურებს, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მუდმივი განვითარების გზას.
უცხოური ენები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მკაფიო გამოხატულებაა. ამგვარ აქტივობებზე მუშაობისას პედაგოგი ფასილიტატორის როლში გვევლინება, ხოლო მოსწავლე თავად ახდენს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, რაც პირდაპირ ეხმიანება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს.

	ამასთანავე, სამივე საფეხურის თემატურ ბლოკებში მოცემული შინაარსობრივი საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მათი ენობრივი კომპეტენციის დონეს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულები გამართულია. კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია: სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების იდეები და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსები. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით.აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:-დაწყებითი საფეხური.**სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში(I,II და IIIკლ.) დაემატოს ესგ-ის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი. ეს სტრუქტურული ცვლილება უზრუნველყოფს კურიკულუმის

	სრულ სიცხადეს, სტანდარტთან შესაბამისობას და მასწავლებელს გაუადვილებს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე.ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, დაგეგმილია და გაწერილი თუ როგორ აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს დასახული მიზნის მისაღწევად,

	ამიტომაც შესაძლებელი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, აღნიშნეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა და გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. **რჩევა-საფეხური:** • **მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა იმ ფორმულირებით, როგორც სტანდარტშია წარმოდგენილი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც

	უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილება, ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. თემებისა და სასწავლო აქტივობების შერჩევა ეფუძნება როგორც გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზს, ასევე მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას, მოტივაციისა და პროგრესის მხარდაჭერას. კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები ორიენტირებულია ფიზიკური უნარების, თანამშრომლობის, პასუხისმგებლობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მათი მზაობა რჩევების გაზიარების მიმართ. ვიზიტის შემდგომ მათ წარმოადგინეს განახლებული კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია მიღებული რეკომენდაციები, რაც ადასტურებს კურიკულუმის განვითრებისა და მუდმივი გაუმჯობესების პროცესის არსებობას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას კურიკულუმი გააზრებული აქვს როგორც მოსწავლის განვითარების მხარდამჭერი ინსტრუმენტი. კურიკულუმში წარმოდგენილია პრაქტიკულ აქტივობებზე, ციფრული რესურსების გამოყენებასა და მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილებები, რაც ხელს უწყობს ფუნქციური ცოდნისა და უნარების განვითარებას. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ კურიკულუმის ცალკეულ ნაწილებში საჭიროებს გაძლიერებას შიდა თანმიმდევრულობა და სტრუქტურული სიცხადე. კერძოდ, I კლასში სამიზნე ცნებასთან ერთად წარმოდგენილია საკითხი, ხოლო III კლასში სამიზნე ცნების სვეტში გაერთიანებულია როგორც სამიზნე ცნება, ისე საკითხი. ასევე ცალკეულ შემთხვევებში სრულად არ არის დაცული შესაბამისობა სამიზნე ცნებებს, საკითხებს, დავალების იდეებსა და შეფასების კომპონენტებს შორის. მსგავსი მიდგომა ართულებს კურიკულუმის შიდა ლოგიკის დაცვას და სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვას. **რჩევა:**

	სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და მისი შემდგომი განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უზრუნველყოს მიმართულებების, სამიზნე ცნებებისა და საკითხების მკაფიო გამიჯვნა და ფორმულირება საგნობრივი სტანდარტის სტრუქტურის შესაბამისად. ასევე მიზანშეწონილია კურიკულუმის კომპონენტებს შორის შიდა ლოგიკური კავშირის გაძლიერება ისე, რომ თითოეული აქტივობა, შეფასების კომპონენტი და სასწავლო შინაარსი თანმიმდევრულად უკავშირდებოდეს განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის საფუძველი, თუმცა მნიშვნელოვანია მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული დახვეწა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი*

	ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები,, სადაც გათვალისწინებულია დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, მოდელის დამზადება, ბუკლეტის შექმნა..),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

	რჩევა: სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ ბუნებისმეტყველების I, III კლასების კურიკულუმები, ასევე ქიმიის IX კლასის კურიკულუმი. კერძოდ, მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული სტრუქტურული და შინაარსობრივი ასპექტები, რომლებიც სამომავლოდ დახვეწასა და შემდგომ განვითარებას საჭიროებს. კერძოდ: თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების სრულად და არა ნაწილობრივ დამუშავების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების კონკრეტიზაციისა და კურიკულუმის მატრიცების ერთიანი ფორმატის დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული საკითხები დეტალურად იქნა განხილული საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში. პედაგოგებმა სრულად გაიზიარეს კონსტრუქციული უკუკავშირი და აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში გაითვალისწინებენ აღნიშნულ მიგნებებს დოკუმენტების კიდევ უფრო ოპტიმიზაციისა და დახვეწის მიზნით **რჩევა: (2.1.2.2) დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:** 1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმებს მატრიცების ერთიანი სტრუქტურული ფორმატის დანერგვა. კერძოდ, შემუშავდეს ერთიანი შაბლონი, სადაც გრაფების (თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლსატერი, შემოქმედებითი დავალების იდეა, რესურსები) თანმიმდევრობა ყველა საგანსა და კლასში იიქნება იდენტური;

	2. მიზანშეწონილია ნაცვლად ფორმულირებისა „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, გრაფას ეწოდოს „სასწავლო რესურსები“. მასში უნდა გაიწეროს არა მხოლოდ კომპლექსური დავალებისთვის საჭირო მასალა, არამედ ის წყაროები და რესურსებიც, რომლებიც აუცილებელია თემის ფარგლებში არსებული ყველა მიმდინარე საკითხის შესასწავლად. 3. მიზანშეწონილია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის მსგავსად, ყველა სხვა საგნობრივ კურიკულუმებში (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალქეოაბა) მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, თუ რომელი კონკრეტული საკითხი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება; 4. შემოქმედებითი ტიპის დავალება უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ, ხელშესახებ პროდუქტს და არა ზეპირ ფორმატს. მაგალითად, ნაცვლად უბრალოდ ზეპირი პრეზენტაციისა სპორტსმენის შესახებ („მე და საზოგადოება“, IV კლასი), სასურველია განისაზღვროს კონკრეტული პროდუქტი (მაგ. პოსტერი). ასევე, როდესაც პროდუქტი ინტერვიუა („ჩვენი საქართველო, V კლასი), მკაფიოდ უნდა დაკონკრეტდეს რესპონდენტი (მაგ. ინტერვიუ ეკოლოგთან). ანალოგიურად, გეოგრაფიის კურიკულუმშიც (VIII კლასი, არალის ზღვის მაგალითი), ფორმულირება „ზეპირი გააზრების სახით“უნდა შეიცვალოს მკაფიო, შემოქმედებითი პროდუქტით (მაგ. ანალიტიკური სტატია, კვლევის ანგარიში და სხვა.

	5. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმების მატრიცაში ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს შუალედური სასწავლო აქტივობა და კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი. მაგალითად, თემაზე „რომის კრიზისი და დიოკლეტიანეს რეფორმები: (ისტორია X კლასი) პროდუქტად მითითებული „ორსვეტიანი ცხრილი“ (პრობლემები და გადაჭრის გზები) წარმოადგენს მასალის გააზრების კარგ შუალედურ აქტივობას, თუმცა მას აკლია შემოქმედებითი ხასიათი. სასურველია, აღნიშნული ცხრილი მოსწავლისთვის იქცეს მოსამზადებელ ეტაპად შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად, როგორიცაა, მაგალითად: იმპერატორის მრჩევლის მოხსენებითი ბარათი (ანალიტიკური წერილი) ან საჯარო გამოსვლის ტექსტი სენატის წინაშე.“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	საფეხურის სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რაც სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნებისკენ მიმართავს. ამასთანავე, კომპლექსური და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ორიენტირებულია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, კოლაბორაციისა და შემოქმედებითობის განვითარებას. **რჩევა:** სასურველია **რუსული ენის დაწყებითი საფეხურის მე- 6 კლასის კურიკულუმში** სამიზნე ცნებია ჟანრის ნაცვლად ეწეროს- ტექსტი. ასევე **საბაზო საფეხური**ს მე-9 და მე-10 კლასის კურიკულუმებში შესაბამის გრაფაში სტანდარტის შესაბამისად მიეთითოს სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები

	უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ტიპის დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა- სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია

	კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები და შედეგები. სამიზნე ცნებები და საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა და მისი განხორციელება უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნების მიღწევისაკენ. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, რომ პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაეყრდნობა ესგ განსაზღულ მათემატიკის სტანდარს და მიმართულ იქნება ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მათი სისტემური და თანმიმდევრული განხორციელების პროცესს. კურიკულუმები აგებულია გრძელვადიან მიზნებზე, რომელიც ეტაპობრივად მიიღწევა შუალედური მიზნებისა და დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების მეშვეობით. თითოეულ თემაში ინტეგრირებულია სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. თემის ფარგლებში დავალების იდეის სახით დაგეგმილია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული აქტივობები მიზანმიმართულად უკავშირდება როგორც საგნობრივი შედეგების მიღწევას, ასევე ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასაც. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სკოლა ორიენტირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიმართულებებსა და შედეგებზე. კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი თემები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია ციფრული წიგნიერების, ინფორმაციის დამუშავების, პროგრამირების ელემენტების, ციფრული მოქალაქეობისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარებისკენ, რაც ქმნის საფუძველს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ კურიკულუმის ცალკეულ ნაწილებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა სრულად თანმიმდევრულად არ არის უზრუნველყოფილი. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გამოყენებულია სტანდარტით გაუთვალისწინებელი ან ძველი რედაქციის ტერმინოლოგია, მიმართულებებისა და სამიზნე ცნებების ფორმულირებები არ შეესაბამება მოქმედ თემატურ ჩარჩოს, ხოლო ცალკეულ კლასებში სამიზნე ცნებები, საკითხები და შეფასების კომპონენტები ერთმანეთისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული. ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საკითხები სცდება სტანდარტით განსაზღვრულ თემატურ ჩარჩოს ან არ არის წარმოდგენილი იმ ფორმულირებით, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. **რჩევა:** სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია ეროვნული სასწავლო გეგმის მოქმედი სტანდარტის შესაბამისად და უზრუნველყოს მიმართულებების, სამიზნე ცნებების, საკითხებისა და შეფასების

	კომპონენტების ერთიან ლოგიკაში ჩამოყალიბება. ასევე მიზანშეწონილია თითოეული კლასის კურიკულუმის გადამოწმება სტანდარტის თემატურ ჩარჩოსთან მიმართებით, რათა სასწავლო შინაარსი, აქტივობები და შეფასება მკაფიოდ მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. საერთო შეფასებით, კურიკულუმი არსებითად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელებაზე, თუმცა საჭიროებს შინაარსობრივ და სტრუქტურულ დაზუსტებას მიზნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **რჩევა** სასურველია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად დაიხვეწოს ბუნებისმეტყველების (I, III კლასი) კურიკულუმები. კერძოდ: კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინმებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და თემები. სახელმწიფო ენის IV კლასის კურიკულუმში გაიწეროს ეროვნული სტანდარტის შესაბამისი ყველა თემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე გამოყენებული რესურსები მრავალფეროვანია და პირდაპირ მიემართება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით, გააჩნიათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებელი ლაბორატორიული სინჯარები და რეაქტივები,, რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები, რეკომენდაციები და უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ

	სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ასევე, იგეგმება რესურსების გამრავლაფეროვნება. **რჩევა: (2.1.2.3)** **დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური** მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.
უცხოური ენები	საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებული ძირითადი სასწავლო რესურსები (როგორიცაა სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები) პირდაპირ კავშირშია სწავლის დასახულ შედეგებთან და ორიენტირებულია ენობრივი კომპეტენციების — კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარების — კომპლექსურ განვითარებაზე. მასალაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობები და სავარჯიშოები ეფექტურად პასუხობს სხვადასხვა სასწავლო სტილისა და საჭიროების მქონე მოსწავლის მოთხოვნებს, რაც აუმჯობესებს სასწავლო მასალის ათვისების ხარისხს. ამასთანავე, პედაგოგების მიერ მასწავლებლის გზამკვლევების გამოყენება უზრუნველყოფს სათანადო მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას და ეხმარება მათ რესურსების მიზნობრივად

	ინტეგრირებაში. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული ტექნოლოგიებისა და რესურსების აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები, (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი,რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია, რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
მათემატიკა	კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტში წამოდგენილია თითოეული თემის სწავლის და სწავლებისათვის, შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ასევე დამხმარე სასწავლო ელექტრონული რესურსი. მათი აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში დაადასტურეს კათედრის წევებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში თემების შესაბამისად წარმოდგენილია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის: სახელმძღვანელოები, სპორტის სხვადასხვა სახეობის გზამკვლევები, პრეზენტაციები, ვარჯიშების ვიდეოინსტრუქციები და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და მოწონებულია კათედრის სხდომაზე. რესურსები უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება და

	მიზნობრივი გამოყენება ეფექტურად უწყობს ხელს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი მასალების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას, მათ შორის ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და პრაქტიკულ სასწავლო საშუალებებს. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ტექნიკური რესურსები (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი), ისე ციფრული პლატფორმები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და ტექნოლოგიური კომპეტენციების ფორმირებას. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ რესურსების აღწერა ყველა შემთხვევაში არ არის საკმარისად კონკრეტული და თანმიმდევრული კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიმართ. რიგ შემთხვევებში რესურსები წარმოდგენილია ზოგადი ფორმით ან არ არის მითითებული კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსის დასახელება, ელექტრონული წყარო ან მისი გამოყენების მიზანი. ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც შერჩეული რესურსი სრულად არ უკავშირდება განსაზღვრულ სამიზნე ცნებასა და დავალების იდეას, რის გამოც ნაკლებად იკვეთება მისი როლი დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. ცალკეულ კლასებში კონტექსტური მაგალითებისა და რესურსების ველები არასრულად არის შევსებული, რაც ზღუდავს რესურსების მიზნობრივი გამოყენების ხედვას.

	რჩევა: სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და უზრუნველყოს რესურსების უფრო მიზნობრივი, კონკრეტული და სტანდარტთან შესაბამისი განსაზღვრა. მიზანშეწონილია სასწავლო აქტივობებთან შესაბამისობაში მიეთითოს კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსები, ელექტრონული პლატფორმები და პროგრამული უზრუნველყოფა ისე, რომ მკაფიოდ იკვეთებოდეს მათი როლი მოსწავლის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. საერთო შეფასებით, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს, თუმცა მათი შერჩევისა და აღწერის უფრო სისტემური და მიზნობრივი დაგეგმვა გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექურად მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზანი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გამოიყენონ ეს მიდგომები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით, ინტერესით. მაგალითად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით (საპრეზენტაციო ფურცელზე, ელექტრონული ფორმით....). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სამივე საფეხურზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას.

	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნების მიხედვით შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის. გარდა დოკუმენტური მასალისა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს მკაფიოდ გამოიკვეთა პედაგოგების პროფესიული მზაობა და პრაქტიკული წინარე გამოცდილება დიფერენცირებული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მასალების ადაპტირების პოტენციალი მასწავლებელს აძლევს მოქნილობას, სასწავლო პროცესი თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ტემპს შეუსაბამოს. რესურსებში წარმოდგენილი დამატებითი სავარჯიშოები და გაფართოებული აქტივობები პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას, ეფექტურად მართოს დიფერენცირებული სწავლება — შესთავაზოს სათანადო გამოწვევები მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს და, ამავდროულად, აღმოუჩინოს მიზნობრივი მხარდაჭერა მათ, ვისაც დამატებითი დახმარება ესაჭიროება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით.

	სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას,ქმნის კარგ საფუძველს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლებისთვის.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სთავაზობენ მათთვის შესაფერის აქტივობებს, რაც პოტენციურად შესაძლებლობას იძლევა, თითოეულმა მოსწავლემ, საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით, მიაღწიოს სასწავლო შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება.გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცეს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ. დავალებებს მოდიფიცირებას უკეთებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით. კათედრის წევრებმაც გამოხატეს მზაობა

	მომავალშიც სასწავლო პროცესს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავენ და კურიკულუმის შემუშავების პროცესშიც გაითვალისწინებენ ამ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობების მრავალფეროვნება და ფიზიკურ აქტივობებს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომების შესაბამისად. კურიკულუმების შემუშავების ეტაპზევე ხდება მოსწავლეების მზაობის და ფსიქოემოციური თავისებურებების გათვალისწინება. წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ დავალებების მოდიფიცირება და მოსწავლის საჭიროებებზე მორგება. **რჩევა - საბაზო საფეხური:** სასურველია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში სამიზნე ცნებები გაიწეროს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსხვავებული ინტერპრეტაციის გარეშე: „ფიზიკური განვითარება და მოტორული უნარების“ ნაცვლად „ფიზიკური თვისებები“ და „სოციალური უნარები (სპორტული ეთიკის)“ ნაცვლად „ორგანიზებულობა და თვითკონტროლი“. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილების შექმნაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი პრაქტიკული აქტივობები, ციფრული რესურსების გამოყენება და მრავალფეროვანი დავალებები ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სწავლების პროცესში გამოიყენონ განსხვავებული ინტერესები, გამოცდილება და უნარები. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწყებით საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმა ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვაზე. ამასთან, ინტერვიუს პროცესში მასწავლებელმა დაადასტურა მზაობა, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის ადაპტაციისა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების გამოყენების მიმართულებით. ამავე დროს, სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნაშრომები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში უკვე გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები - მოსწავლეებს ეძლევათ განსხვავებული ფორმატის დავალებები, მრავალფეროვანი რესურსებით მუშაობის შესაძლებლობა და საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად სასწავლო პროდუქტის შექმნის სივრცე, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და პროგრესს. **რჩევა:** სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უფრო მკაფიოდ ასახოს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკული მექანიზმები, მათ შორის - დავალებების ადაპტირების, რესურსების მოქნილი გამოყენებისა და განსხვავებული საჭიროებების

	გათვალისწინების გზები, რათა არსებული პრაქტიკა სისტემურად აისახოს კურიკულუმში და კიდევ უფრო გაძლიერდეს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერა. საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს საფუძველი, ხოლო არსებული პრაქტიკა მიუთითებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების მზაობასა და შესაძლებლობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა - განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს, მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე მოქმედი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პრინციპებ, შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე. თითოეული კომპლექსური ბუნებისვ დავალებისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეებს წინასწარ ეცნობათ. რუბრიკებში, როგორც განმსაზღვრელში, ასევე განმავითარებელში მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებები და შედეგი. შეფასების პროცესში გამოიყენება თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემები, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ყველა საგანში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ინსტრუმენტები პირდაპირ არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. როგორც განმავითარებელ, აგრეთვე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებში ინტეგრირებული განმავითარებელი კომპონენტები (მათ შორის, მასწავლებლის ინდივიდუალური კომენტარები) მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაში, რაც ზრდის მათ მოტივაციას და ხელს უწყობს სწავლის პროცესის გააზრებულ მართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ინტეგრირებული შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპებს. მასში ყურადღება ეთმობა განმავითარებელ უკუკავშირს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის წინსვლასა და საკუთარ შეცდომებზე სწავლის პროცესს. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს — მათ შორის ზეპირ და წერით კომპონენტებს და პრაქტიკულ აქტივობებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) კომპლექსურ შეფასებას და პასუხობს ესგ-ს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკის კათედრას, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის.მუსიკის საგანში ნიმუშის სახით წარმოდგენილია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

	რჩევა: -საბაზო საფეხური-სასურველია,კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში,როგორც დაწყებით,ასევე საბაზო საფეხურზე, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებებასთან მიმართებით მოსწავლეთა შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში, წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას. დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შეფასების სისტემა დაეფუძნება შეფასების

	პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს, და ამავე დროს გათვალისწინებული იქნება მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც დეტალურად აღიწერება, თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და შესაბამის სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ვიზიტის შემდეგ წარმოადგინეს ფრენბურთის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ემსახურება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენას საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე განხორციელებული აქვთ მე-10 კლასის მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება თემაზე „ფრენბურთი“. წარმოდგენილი დიაგნოსტირების ინსტრუმენტი მოიცავს შედეგების ანალიზს, რომლის საფუძველზე მასწავლებლები გეგმავენ შესაბამის დამატებით სასწავლო აქტივობებსა და მხარდაჭერის ღონისძიებებს. **რჩევა - დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:** სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო თანმიმდევრულ განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი მასალების ანალიზით იკვეთება, რომ სკოლა შეფასებას განიხილავს როგორც სასწავლო პროცესის მხარდამჭერ მექანიზმს და ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესის, მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასებაზე. წარმოდგენილ მასალებში ჩანს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტების გამოყენების მცდელობა, ხოლო შეფასების კრიტერიუმები რიგ შემთხვევებში უკავშირდება მოსწავლის მიერ შესასრულებელ აქტივობებსა და სასწავლო პროდუქტებს. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემისა და კურიკულუმის სხვა კომპონენტების შესაბამისობა ყველა შემთხვევაში სრულად არ არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კლასებში შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ სრულად არ ემთხვევა განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს ან შეფასების საფუძველი უფრო მეტად აქტივობის აღწერაზეა ორიენტირებული, ვიდრე კონკრეტული სასწავლო შედეგის შეფასებაზე. ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც შეფასების კომპონენტებსა და კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილებს შორის კავშირი საჭიროებს მეტად მკაფიო წარმოჩენას, რათა შეფასება თანმიმდევრულად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ამავდროულად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ წარმოდგენილი მასალებით ჩანს სკოლის მცდელობა შეფასება დაუკავშიროს მოსწავლის პრაქტიკულ საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებს, რაც ქმნის საფუძველს შეფასების განვითარებისკენ მიმართული სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

	რჩევა: სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს შეფასების სისტემის უფრო მკაფიო დაკავშირება სამიზნე ცნებებთან, სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებთან. მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების გადახედვა ისე, რომ თითოეული შეფასების კომპონენტი თანმიმდევრულად ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის შეფასებას. საერთო შეფასებით, სკოლაში დანერგილია შეფასების ისეთი პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, თუმცა შეფასების სისტემის სტრუქტურული და შინაარსობრივი დაზუსტება კიდევ უფრო გააძლიერებს მის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ;*
- *სამოქმედო გეგმა 1 წლიანი 2025-2026;*
- *სამოქმედო გეგმა 7 წლიანი 2025-2026;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი/საბაზო/საშუალო;*
- *ისგ;*
- *დაწყებითი კლასების/საბაზო/საშუალო საფეხურის კათედრის მასალები;*
- *კურიკულუმი,სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში.*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, მუსიკაში*
- *კომპლექსური დავალების ბარათები მუსიკაში.*
- *ესთეტიკის კათედრის სამოქმედო გეგმა.*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; სპორტში მოსწავლის მიღწევის დიაგნოსტირების ინსტრუმენტი - ანგარიშის ფორმა; სპორტისა და ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმა, რესურსების ჩამონათვალი; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის გეგმები და რეფლექსია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; მასწავლებლის თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, დირექტორის შეფასება; სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *პროექტები მოქალაქეობაში - კურიკულუმები;*
- *შემოქმედებითი ტიპის დავალების მატრიცები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*

- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი ფოტოები და პრეზენტაციები;*
- *სასწავლო მიზნით მუზეუმში განხორციელებული ვიზიტის ამსახველი ფოტო/ტექსტობრივი მასალა*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;*
- *მუზეუმის ანგარიში;*
- *სასწავლო პროცესის თვითშეფასება.*

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- *1-6 კლასების კურიკულუმები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;*
- *საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები ანგარიშები, შემაჯამებლები და მათი ანალიზი და სხვ (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები);*
- *სკოლის თვითშეფასების განაცხადი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კათედრაზე განხილვისა და ანალიზის საფუძველზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	საფეხურზე უცხოური ენების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და თემატიკას. დაგეგმვისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, აუდიო/ვიდეო მასალები). მათი ინტეგრაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესის შეფასების და თვითშეფასების დოკუმენტაციით დასტურდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო

	კურიკულუმის შესაბამისად. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და გამოხატავენ მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი,აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ,ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები სხვადასხვა საფეხურზე. მათგან აღსანიშნავია დაწყებით საფეხურზე პროექტი ,,ქართული-ხალხური ზღაპრების ჯადოსნური სამყარო’’,საბაზო საფეხურზე ,,დიალექტიზმები და ბარბარიზმები’’, საშუალო საფეხურზე კი

	პროექტი ,,ქართული ლიტერატურა და ეროვნული თვითშეგნება'', რომელმაც მოიცვა მთელი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნების ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების ორიენტირით. კათედრის წევრებმა საუბრისას გამოხატეს კიდეც მზაობა მომავალში სასწავლო პროცესს წარმართავენ შემუშავებული და დამტკიცებული კურიკულუმების შესამაბისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემის ფარგლებში დავალების იდეად წარმოდგენილია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალების ორგანიზება, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად წარმოაჩინონ და განამტკიცონ შესწავლილი საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული აქტივობები სისტემატურად ხორციელდება სამივე საფეხურზე. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე გაიმართა სპორტული ფესტივალი „მხიარული სტარტები“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე - „კალათბურთის“, „ფრენბურთისა“ და „მინიფეხბურთის“ შიდა

	სასკოლო სპორტული ფესტივალი. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ამასთან, სკოლის სპორტული გუნდები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე და წარმატებასაც აღწევენ - ფეხბურთში სკოლის მოსწავლეთა გუნდმა რაიონის მასშტაბით მე-3 ადგილი მოიპოვა, ხოლო კალათბურთში ასევე მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა, რაც მოსწავლეთა სპორტული მიღწევებისა და სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების დასტურია. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალების ანალიზით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსს, აქტივობებსა და სასწავლო მიზნებს. წარმოდგენილ მასალებში ჩანს თემატური დაგეგმვის, სასწავლო რესურსების, დავალებებისა და შეფასების კომპონენტების გამოყენება, რაც ქმნის სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოსწავლეთა ჩართულობის საფუძველს. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ კურიკულუმსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვას შორის შესაბამისობა ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს მეტად მკაფიო და თანმიმდევრულ ასახვას. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სასწავლო პროცესის ცალკეული კომპონენტები სრულად არ ეფუძნება სწორად განსაზღვრულ მიმართულებებსა და სამიზნე ცნებებს ან ერთმანეთშია გაერთიანებული განსხვავებული სტრუქტურული ელემენტები (მაგალითად, მიმართულება,

	სამიზნე ცნება და საკითხი). ასევე რიგ შემთხვევებში შეფასების კომპონენტები და რესურსები საჭიროებს უფრო მკაფიო დაკავშირებას დაგეგმილ სასწავლო მიზნებთან. ამავდროულად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროდუქტები და მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ხასიათსა და დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, რაც მიუთითებს კურიკულუმის რეალურ სასწავლო პროცესში ინტეგრირების მცდელობაზე. **რჩევა:** სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის რევიზია და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ყველა კომპონენტის - სასწავლო მიზნების, აქტივობების, რესურსებისა და შეფასების - უფრო მკაფიო დაკავშირება სასკოლო კურიკულუმთან. ასევე მიზანშეწონილია დაგეგმვის პროცესში მეტად გამოიკვეთოს კურიკულუმის სტრუქტურული ელემენტების გამიჯვნა და მათი თანმიმდევრული ასახვა სასწავლო პრაქტიკაში. საერთო შეფასებით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმზე დაყრდნობით, თუმცა მისი განხორციელების პროცესში შიდა თანმიმდევრულობისა და დაგეგმვის ერთიანობის გაძლიერება კიდევ უფრო უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ და მიმდინარე საჭიროებებზე, რაც კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში მკაფიოდ იკვეთება. მეთოდოლოგიური დოკუმენტი მიუთითებს, რომ კურიკულუმის განვითარება ეფუძნება წინა პერიოდის ანალიზს, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შეფასებას, მშობელთა ჩართულობის ხარისხის განსაზღვრას და სასწავლო პროცესში არსებული ხელისშემშლელი თუ ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებას . აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სკოლა დროულად ამოიცნობს პრობლემებსა და საჭიროებებს და შესაბამის ცვლილებებს ასახავს მომდევნო კურიკულუმში. ასევე, დოკუმენტში ხაზგასმულია რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება, რომელიც გამოიყენება როგორც კურიკულუმის, ისე სკოლის სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად . ეს მიუთითებს სისტემურ და მიზანმიმართულ რეაგირებაზე, რომელიც ეფუძნება რეალურ მონაცემებს და გამოცდილებას. კათედრების სამოქმედო გეგმები დამატებით ადასტურებს მოქნილობას: წლის განმავლობაში დაგეგმილია როგორც მიმდინარე პროცესების განხილვა (მაგ., მოსწავლეთა შედეგები), ისე საჭიროებისამებრ აქტივობების დაგეგმვა და კორექტირება (ოლიმპიადებისთვის მზადება, რესურსების შერჩევა, საათების გადანაწილება). შედეგად, სკოლაში მოქმედებს ციკლური, ანალიტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც

უზრუნველყოფს სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას გამოვლენილ საჭიროებებზე. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა არის მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული.

ინდიკატორინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის დოკუმენტაციის, საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების წარმოდგენილი სქემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პრაქტიკაში დანერგილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების მოდელები, სადაც მკაფიოდ არის დეკლარირებული და განსაზღვრული თითოეული შეფასების კონკრეტული მიზანი.

	სკოლაში არსებული მიდგომით, შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს) და ორიენტირებულია არა მოსწავლის ხარვეზების ძიებაზე, არამედ მისი რეალური პოტენციალის, ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისა და ძალისხმევის წარმოჩენაზე (ხაზს უსვამს იმას, თუ „რა შეუძლია მოსწავლეს“). სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას. ფასდება მხოლოდ ის კომპონენტები და საგნობრივი მიმართულებები, რომლებიც უშუალოდ რუბრიკითაა განსაზღვრული. ეს მიდგომა ქმნის უსაფრთხო, თანაბარ და სამართლიან სასწავლო გარემოს ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. არის განსაზღვრული, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაა საჭირო კონკრეტული სწავლისშედეგის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის გაგებას. შეფასების სისტემა ცდილობს დაიცვას სამართლიანობის პრინციპი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეთავაზებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში (მაგალითად, როგორც ზეპირ, ისე წერილობით

	ფორმატში). კურიკულუმში მოცემულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც როგორც წესი, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი და წარმოდგენილი შეფასების სისტემა, თავისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკებით და კრიტერიუმებით, უზრუნველყოფს მის ვალიდურობასა და ობიექტურობას, რადგან ის ზომავს ზუსტად იმ უნარებს, რაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. კრიტერიუმების არსებობა ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და სანდოობას, ხოლო მათი თანმიმდევრული გამოყენება საფუძველს უყრის სამართლიან შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების

	სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და ფრენბურთის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული და მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას უზრუნველყოფს. მასწავლებლები შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ, თუ რომელ საფეხურებრივ ჯგუფს აფასებენ და წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებზე. მასწავლებლებს განხორციელებული აქვთ მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მე-10 კლასში, სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ რა აქტივობა უნდა განეხორციელებინა მოსწავლეს საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად, რამდენად კარგად გაართვა თავი გამოწვევას, რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის და რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად. ასევე განხორციელებული აქვთ საკლასო სპორტულ ფესტივალზე - მე-9 კლასში შეფასების ვერიფიკაცია. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ. აქტივობები შერჩეული იყო სპორტული დარბაზის სივრცეში მასწავლებლის ზედამხედველობის პირობებში, სადაც იყო არასტრესული გარემო. ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლის ყველა თანამშრომელი.

	წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადი გახდა, რომ ვერიფიკაცია ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით შეფასდა დადებითად. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შეფასების პროცესი სკოლაში ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევების, პროგრესისა და სასწავლო შედეგების შეფასებაზე. წარმოდგენილ მასალებში ჩანს შეფასების კრიტერიუმების გამოყენება და სასწავლო აქტივობებთან მათი დაკავშირების მცდელობა, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და მოსწავლისთვის მოლოდინების წინასწარ განსაზღვრას. პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების კომპონენტები ადასტურებს შეფასების პროცესში მრავალფეროვანი აქტივობებისა და პრაქტიკული დავალებების გამოყენებას, რაც ქმნის მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივი გამოვლენის პირობებს. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემის ცალკეული კომპონენტები საჭიროებს მეტად მკაფიო დაკავშირებას სამიზნე ცნებებთან, სასწავლო მიზნებსა და განსაზღვრულ შედეგებთან. რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულად არ ასახავს იმ სასწავლო მიზანს, რომლის მიღწევაც კურიკულუმით არის დაგეგმილი, ხოლო შეფასების კომპონენტებს შორის თანმიმდევრულობის გაძლიერება ხელს შეუწყობს შეფასების ვალიდურობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

	რჩევა: სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს შეფასების სისტემის უფრო მკაფიო სტრუქტურირება და მისი თანმიმდევრული დაკავშირება სამიზნე ცნებებთან, სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან. ასევე მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება ისე, რომ შეფასების პროცესი კიდევ უფრო გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი გახდეს ყველა მოსწავლისთვის. საერთო შეფასებით, სკოლაში დანერგილია შეფასების ისეთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, ხოლო შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწა კიდევ უფრო გააძლიერებს მის ხარისხსა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეებისთვის წინასწარ ცნობილია შეფასების კრიტერიუმები,რაც დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა ახორციელებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რაც მიზნად ისახავს შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას. ეს მექანიზმი ეფუძნება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, რომლებიც გაწერილია სკოლის შიდა დოკუმენტში - „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“. ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების (რუბრიკები, ტესტები, კომპლექსური დავალებები) შემოწმებას, მათი მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის დადგენას. ვერიფიკატორები (კათედრის წევრები) რეგულარულად ახდენენ მოსწავლეთა ნაშრომების დიაგნოსტირებას, აფასებენ მათ ვალიდურობას და ობიექტურობას, რაც აისახება შესაბამის ოქმებსა და ვერიფიკაციის ანგარიშებში. მექანიზმი უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასება არ არის ფრაგმენტული და დამოკიდებულია წინასწარ განსაზღვრულ, გამჭვირვალე კრიტერიუმებზე. როგორც წარმოდგენილი სხვადასხვა საგნის, მაგალითად, ბუნებისა“ და „ქართულის“ ვერიფიკაციის დოკუმენტები ადასტურებს, სკოლა ახდენს პრაქტიკული პროდუქტების (მაკეტები, ესეები) სისტემურ შემოწმებას, რაც ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხს. ეს პროცესი არის დინამიკური და მიმართულია როგორც მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, ისე მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის თვითრეგულირებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მონაცემთა არქივირება და სისტემატიზაცია წარმოადგენს სკოლის ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს. სკოლის საქმისწარმოების წესები ავალდებულებს პასუხისმგებელ პირებს (კათედრის

თავმჯდომარეები, ადმინისტრაცია), რომ შეფასების ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება (მოსწავლეთა ნაშრომები, შეფასების რუბრიკები, ვერიფიკაციის ოქმები, ელექტრონული ჟურნალის ამონაწერები) ინახებოდეს დაცულად, როგორც მატერიალური (დაარქივებული საქაღალდეები), ისე ციფრული (ელექტრონული ბაზები/დრაივი) ფორმით. მტკიცებულებათა აღრიცხვიანობისა და შენახვის პოლიტიკა სკოლაში იძლევა შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს მოხდეს სწავლის შედეგების დინამიკის მონიტორინგი. 3-წლიანი შენახვის ვადა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ავტორიზაციისთვის საჭირო აუდიტორულ გამჭვირვალობას, არამედ საშუალებას აძლევს სკოლას, განახორციელოს გრძელვადიანი ანალიზი მოსწავლეთა აკადემიური ზრდის შესახებ, რითაც ხდება მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; სპორტში მოსწავლის მიღწევის დიაგნოსტირების ინსტრუმენტი - ანგარიშის ფორმა; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; განხორციელებული ვერიფიკაციის შევსებული დოკუმენტი; მასწავლებლის ანგარიში; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის გეგმები და რეფლექსია; შიდა სასკოლო და სკოლის გარეთ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტომასალა, დიპლომები, ჯილდოები; სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- *1-6 კლასების კურიკულუმები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;*

- *საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები ანგარიშები, შემაჯამებლები და მათი ანალიზი და სხვ (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *7-წლიანი გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *ვერიფიკაციის ოქმები;*
- *საგნების ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;*
- *შეფასების რუბრიკები;*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პლაკატებს, მულაჟებს, აუდიო და ციფრულ მასალებს. შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის

	მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოიყენება. მასწავლებლები ეფექტურად აერთიანებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს სხვადასხვა დამხმარე ციფრულ, ვიზუალურ და დამატებით საგანმანათლებლო რესურსებთან, რაც სასწავლო პროცესს მეტად მრავალფეროვანსა და მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის. ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტ რესურსების გამოყენებისთვის აქვს შესაბამისი ტექნიკა და ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ და გეგმავენ სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, აქტიურად და სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ისინი წარმოადგენენ გაკვეთილების დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის მთავარ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტულობას და თანმიმდევრულობას. აუდიო და ვიდეო მასალების აქტიური ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მასალის ვიზუალურ და სმენით აღქმას, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ დამატებითი, დამხმარე რესურსების ინტეგრაციას, რაც მიუთითებს მათ პროფესიულ მიდგომაზე და მზაობაზე, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, როგორც ვიდეო ასევე აუდიო რესურსი, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: **სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას სათანადო გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, სწავლების დროს იყენებენ იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლათფორმებსაც რაც დაადასტურა კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფლებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თითოეულ თემასთან მიმართებით ინტეგრირებულია მრავალფეროვანი ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. რესურსები წარმოდგენილია ელექტრონული ბმულების სახით და მოიცავს სახელმძღვანელოებს, სპორტის სხვადასხვა სახეობის გზამკვლევებს, პრეზენტაციებს, ვარჯიშების ვიდეოინსტრუქციებს, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო მასალებს. შერჩეული რესურსები შეესაბამება თემის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მათი გამოყენებით მასწავლებლები უზრუნველყოფენ სასწავლო საკითხების მრავალმხრივ წარმოდგენას, მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და აქტიურ ჩართულობას. მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას უკეთ გაიაზრონ შესასწავლი საკითხები და მიღებული ცოდნა რეალურ სიტუაციაში გამოიყენონ. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი პრაქტიკა აჩვენებს ციფრული საგანმანათლებლო რესურსების, სხვადასხვა პროგრამული საშუალებებისა და სასწავლო აქტივობებზე მორგებული ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს რესურსების არა მხოლოდ ფორმალურ განსაზღვრას, არამედ მათ რეალურ გამოყენებას

	სასწავლო პროცესში. სასწავლო აქტივობებში იკვეთება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, რაც ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განსხვავებული გზებით მიაღწიონ დაგეგმილ სასწავლო შედეგებს. ამასთან, ანალიზმა აჩვენა, რომ ცალკეულ შემთხვევებში რესურსების ჩამონათვალი საჭიროებს მეტად დაზუსტებულ და მიზნობრივ ფორმულირებას. ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები წარმოდგენილია ზოგადი სახით ან მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზანსა და სამიზნე ცნებასთან მკაფიოდ არ იკვეთება, რაც ართულებს რესურსების ეფექტიანობის შეფასებას სასწავლო შედეგების მიღწევის კონტექსტში. **რჩევა:** სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უზრუნველყოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების უფრო მკაფიო აღწერა და მათი დაკავშირება კონკრეტულ სასწავლო მიზნებთან, აქტივობებსა და სამიზნე ცნებებთან. ასევე მიზანშეწონილია რესურსების შერჩევის პროცესში იხელმძღვანელოს სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის წესის შესაბამისად, რათა გამოყენებული რესურსები იყოს მიზნობრივი, ხარისხიანი და სრულად ემსახურებოდეს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საერთო შეფასებით, სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებს, ხოლო მათი სისტემური აღწერა, შერჩევისა და გამოყენების პრინციპების კიდევ უფრო მკაფიო განსაზღვრა გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **რჩევა:** სასურველია, ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებს, რომ შერჩეული რესურსი შესაბამისი იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ კოგნიტურ შესაძლებლობებს, ციფრული და აუდიო რესურსის შერჩევისას ამოწმებენ რამდენად საიმედო და სწორი ინფორმაციაა ასახული მათში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმების ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ეფექტურად უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო

	რესურსის ვალიდაციას. კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში, სისტემურად მიმდინარეობს იმ დამატებითი რესურსების სწავლების ეფექტიანობისა და შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების წინასწარ ფილტრაციას, ხარისხის კონტროლსა და მათ მიზანმიმართულ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლები იყენებენ აუდიო-ვიდეო მასალებს და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ავსებს ძირითად სახელმძღვანელოებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლების მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები, როგორც წესი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემატიკასა და სწავლის შედეგებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

	მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმი და რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე, რამდენადაა ეს თუ ის რესურსი ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით

	განსაზღრულ მოთხოვნების შესაბამისი, დააკმაყოფილებს თუ არა შესაბამის მოთხოვნებს. ზემოთქმული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და მიიღება გადაწყვეტილება სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსების შესახებ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რესურსების შერჩევისას ყურადღება ექცევა მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სასწავლო მიზნებთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებთან. ასევე ფასდება რესურსების სანდოობა, ხარისხი, აქტუალობა და საგანმანათლებლო ღირებულება. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ისეთი რესურსების შერჩევას, რომლებიც ეფექტურად უჭერს მხარს მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებას, სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას. კათედრის სხდომაზე დაადგინეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს მრავალფეროვან დამხმარე სასწავლო რესურსებს, მათ შორის ციფრულ საგანმანათლებლო პლატფორმებს, პროგრამულ საშუალებებსა და პრაქტიკულ აქტივობებზე მორგებულ რესურსებს. წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკა

	მიუთითებს რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე და მათ კავშირზე სასწავლო პროცესის განხორციელებასთან. პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ გამოყენებული რესურსები მიმართულია მოსწავლეთა ჩართულობის, პრაქტიკული უნარებისა და სწავლის შედეგების მხარდაჭერისკენ. წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები და სასწავლო აქტივობები ადასტურებს, რომ რესურსები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ემსახურება სასწავლო მიზნების მიღწევას. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის პროცედურები ყოველთვის მკაფიოდ არ იკვეთება. ცალკეულ შემთხვევებში ნაკლებად ჩანს რა კრიტერიუმებით ხდება რესურსის შერჩევა, შესაბამისობის შეფასება და მისი დაკავშირება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთანა და შედეგებთან. **რჩევა:** სკოლამ კურიკულუმის რევიზიის პროცესში უფრო მკაფიოდ განსაზღვროს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების მიდგომები და უზრუნველყოს მათი ვალიდაცია შესაბამისი წესის საფუძველზე. მიზანშეწონილია რესურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს მათი შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სასწავლო მიზნებთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან.

	საერთო შეფასებით, სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად, ხოლო მათი შერჩევისა და ვალიდაციის პროცესის უფრო მკაფიო ფორმალიზება გააძლიერებს რესურსების ხარისხსა და გამოყენების ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც, რაც სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებითაა შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ლაბორატორიაშ გაყვანილია სველი წერტილი, მოთავსებულია ცეცხლგამძლე მაგიდა, სხვადასხვა ქიმიურ რეაქტივების შესანახი კარადა, ქიმიური ჭურჭელი, მოსწავლეთა მიერ დამზადებულ კომპლექსური დავალების პროდუქტები, რომელსაც იყენებენ თვალსაჩინოებად, არ აქვ ამწოვი კარადა, თუმცა ლაბორატორიაში არის დიდი ფანჯარა, რომელიც ღიაა და ოთახ მუდმივად განიავებულია. **რჩევა: სასურველია ლაბორატორიას ჰქონდეს ამწოვი კარადა.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	მასწავლებლები ცდილობენ ციფრული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რაც უცხოური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია. უცხოური ენის კათედრამ დაგეგმა ინტეგრირებული პროექტები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყენებდნენ ციფრულ რესურსებს. ეს პირდაპირ კავშირშია სწავლის ისეთ შედეგებთან, რომელიც ციფრული წიგნიერების განვითარებას გულისხმობს და აუცილებელია მოსმენის, მეტყველების, აუდიო-ვიდეო მასალებთან მუშაობისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.

	ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის დარბაზის იატაკი დახაზულია და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, დარბაზს აქვს აივანი მაყურებლებისთვის. დარბაზში აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ბურთები, კონუსები, მოედნის მოსანიშნი ფიშკები, ბარიერები, ბაგირი. სკოლას არ აქვს გარე სპორტული მოედანი. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალების ანალიზით იკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის

	ხელმისაწვდომია შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსები, რომლებიც გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისა და სასწავლო შედეგების მხარდაჭერისთვის. წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკა ადასტურებს ციფრული რესურსების, ტექნოლოგიური საშუალებებისა და სასწავლო გარემოს გამოყენებას, რაც ქმნის მოსწავლეთა ჩართულობისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. საერთო შეფასებით, სკოლაში შექმნილია სასწავლო შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური გარემოს საფუძველი, ხოლო რესურსების სისტემური დაგეგმვა და შესაბამისობის მკაფიო წარმოჩენა კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესის ხარისხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**	*ივსება მხო*

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

EMIS-ის ბაზების ანალიზით დადგინდა, რომ დასაქმებულს უდასტურდება უმაღლესი განათლება, როგორც ეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებითაა განსაზღვრული. სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, მათ შორის 4 წამყვანი, 18 უფროსი და 2 მოწვეული.

მოწვეულ მასწავლებლებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება რაც წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ მოწვეული მასწავლებლისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მათთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, სადაც იგი აყვანილია „მოწვეული მასწავლებლის“ სტატუსით (ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ერთი წლით). ამასთან, სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი*
- *საბაზო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები);*
- *საშუალო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები);*
- *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები; სპორტისა და ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმები, რესურსების ჩამონათვალი; სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის ფოტომასალა; სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;*
- *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- *1-6 კლასების კურიკულუმები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;*
- *საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები ანგარიშები, შემაჯამებლები და მათი ანალიზი და სხვ (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები);*
- *7-წლიანი გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის თვითშეფასების განაცხადი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სისტემურად და თანმიმდევრულად ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის ფარგლებში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტი ითვალისწინებს სწავლის შედეგების, სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა და ჩართულობის ხარისხის რეგულარულ ანალიზს. აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც აკადემიური შედეგების განხილვას, ასევე სასწავლო პროცესში არსებული ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებას. კათედრების სამოქმედო გეგმები, ოქმები, გაკვეთილებზე დასწრებები, ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში ადასტურებს, რომ მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად (სემესტრული და წლიური შეჯამებები), რაც უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებულობასა და სისტემურობას. შესაბამისად, შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რაც სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს, რომელიც გამოიყენება როგორც კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის, ისე სკოლის სამოქმედო გეგმის დასაგეგმად.

ასევე, კათედრების მუშაობის პრაქტიკა (შედეგების განხილვა, რესურსების გადახედვა, აქტივობების დაგეგმვა, შემაჯამებლების ანალიზი) მიუთითებს, რომ მონიტორინგი არ არის მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება, არამედ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ამ გზით სკოლა ეფექტიანად რეაგირებს გამოვლენილ სირთულეებზე და განსაზღვრავს მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სკოლაში ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ მხარდაჭერაზე. პროცესში მიღებული მონაცემები გამოიყენება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი განვითარების დაგეგმვასა და მხარდაჭერას. ამასთან, მოსწავლეთა შედეგების რეგულარული განხილვა და ანალიზი ქმნის შესაძლებლობას, დროულად მოხდეს მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა. მშობელთა ჩართულობის შეფასება და კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიდგომა კიდევ უფრო აძლიერებს მხარდაჭერის მექანიზმებს. შედეგად, მონიტორინგი და შეფასება სკოლაში ფუნქციონირებს როგორც მხარდამჭერი ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, თითოეული მოსწავლის წარმატებასა და პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი*
- *საბაზო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *საშუალო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასებისას გამოიყენება როგორც მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, ისე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ამსახველი მონაცემები, მათ შორის სემესტრული და წლიური შეჯამებები. მეთოდოლოგიური დოკუმენტი მიუთითებს, რომ შეფასება ითვალისწინებს მშობელთა ჩართულობას, მოსწავლეთა მიღწევებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მონაცემთა მრავალფეროვნებას. ასევე, კათედრების მუშაობის ფარგლებში რეგულარულად განიხილება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (რესურსები, აქტივობები, შედეგები), რაც ქმნის კომპლექსურ სურათს შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური შედეგების ანალიზით, არამედ ხორციელდება ფართო კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო პროცესის შიდა ფაქტორები (სწავლების მეთოდები, რესურსები, აქტივობები), ისე გარე ფაქტორები (მშობელთა ჩართულობა, სასკოლო გარემო, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები). მეთოდოლოგიური ჩარჩო ითვალისწინებს სასწავლო პროცესის კავშირს მმართველობით და დამხმარე პროცესებთან, რაც ნიშნავს, რომ შეფასება ხდება ინსტიტუციურ დონეზეც. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ მიღებული შედეგები სწორად ინტერპრეტირდეს და გადაწყვეტილებები იყოს კონტექსტურად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ეს მოიცავს აკადემიური შედეგების ანალიზს, სემესტრულ და წლიურ განხილვებს, კათედრის სხდომებს, ასევე პროცესის მონიტორინგის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას. მონაცემთა შეგროვება ხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდებით - მაგალითად, მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკური ანალიზი და სასწავლო პროცესის ხარისხობრივი შეფასება. ასევე, მშობელთა ჩართულობისა და კომუნიკაციის შეფასება წარმოადგენს დამატებით წყაროს, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს მონაცემთა ბაზას. აღნიშნული მრავალფეროვნება უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტეს და ზრდის მიღებული დასკვნების სანდოობას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესი სკოლაში კომპლექსურ ხასიათს ატარებს და ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორის ერთობლივ ანალიზს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, სწავლების მეთოდების ეფექტიანობა, სასწავლო რესურსების შესაბამისობა, ასევე მშობელთა ჩართულობის ხარისხი და სასკოლო გარემოს თავისებურებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავს როგორც პროცესულ, ისე შედეგობრივ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან ანალიზს. კათედრების მუშაობა და რეგულარული განხილვები კიდევ უფრო აძლიერებს ამ მიდგომას, რადგან გადაწყვეტილებები მიიღება მრავალფაქტორული შეფასების საფუძველზე. შედეგად, შეფასება სკოლაში ხორციელდება ჰოლისტური მიდგომით, რაც უზრუნველყოფს მისი სიღრმისეულობასა და ეფექტიანობას.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი*
- *საბაზო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*

- *საშუალო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი და ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული მდგომარეობის შეფასებით, არამედ მოიცავს

რეკომენდაციების სისტემურ ფორმირებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, რომელიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დასაგეგმად და გასაუმჯობესებლად. აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნება როგორც მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზს, ისე სასწავლო პროცესში გამოვლენილ ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებს, მშობელთა ჩართულობის ხარისხსა და კათედრების მუშაობის შეფასებას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის განვითარება იყოს მიზნობრივი, მონაცემებზე დაფუძნებული და საჭიროებებზე ორიენტირებული. ამასთანავე, რეკომენდაციების პაკეტი გამოიყენება არა მხოლოდ კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის, არამედ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განახლებისთვის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისტემურობას და ინსტიტუციურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განვითარების ციკლური მოდელი, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტებში, ნათლად აჩვენებს, რომ მისი გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს. კერძოდ, კურიკულუმის რევიზიის პროცესში გათვალისწინებულია წინა სასწავლო წლის შედეგები, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. მეთოდოლოგიური ჩარჩო ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების სისტემურ გამოყენებას, რაც გამოიხატება რეკომენდაციების შემუშავებაში და მათი ინტეგრირებაში ახალ კურიკულუმში. კათედრების მუშაობის პრაქტიკა (სემესტრული და წლიური შეჯამებები, შედეგების

განხილვა) დამატებით ადასტურებს, რომ მიღებული გამოცდილება აქტიურად გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის პროცესში. შედეგად, კურიკულუმი არ არის სტატიკური დოკუმენტი - იგი წარმოადგენს განვითარებად სისტემას, რომელიც ეფუძნება უწყვეტ ანალიზს, უკუკავშირსა და მიღებულ გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი*
- *საბაზო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *საშუალო საფეხურის დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები, შემაჯამებლები…);*
- *ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 01 ივლისი 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: